განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ბიზნესის ადმინისტრირება (MBA)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
11 ივლისი, 2018
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** საჯარო სამართლის იუდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირება**
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) 2. საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრი (ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი)
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი პანდელის იპსილანდისი თესალონიკი, საბერძნეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი ნინო ზარნაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დოქტორი ნინო დგვეფაძე ,,ბრანდორ კონსალტინგი, დამსაქმებლის ექსპერტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ გრძელიშვილი, სტუდენტი-ექსპერტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირების" (ინგლისურენოვანი) პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წელს და მას შემდეგ რეგულარულად იღებს სტუდენტებს სამაგისტრო პროგრამაზე. 2017 წელს პროგრამას დაემატა გაცვლითი მიმართულება ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან თანაშრომლობის შედეგად. მაგისტრანტებს, რომლებიც ხსენებულ გაცვლით მიმართულებაში იღებენ მონაწილეობას, მიენიჭებათ ორმაგი კვალიფიკაცია- ილიას სახელმწიფო და ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტების მიერ, პროგრამის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში. პროგრამა, რომელიც ისწავლება ინგლისურ ენაზე, კარგად არის მიღებული საგანმანათლებლო ბაზარზე და წელიწადში დაახლოებით 50 სტუდენტი აკეთებს მასზე არჩევანს, ანუ დაახლოებით სამი აპლიკანტიდან ერთი. 2017 წლიდან პროგრამაზე დაიშვებიან უცხოელი სტუდენტებიც.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა ხუთშაბათს, 11 ივლისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის აღწერის დოკუმენტები, ასევე: პროგრამის კომპონენტების დეტალური სილაბუსები, დოკუმენტების უნივერსიტეტის სერვისების შესახებ, ბიზნესის სკოლის სტრატეგიული დოკუმენტი, შესაბამისი სამოქმედო გეგმა, აკადემიური, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის, რეგულაციები, ჩარიცხვები და ა.შ., საერთაშორისო პარტნიორებთან დადებული ხელშკრულებები და მობილობის სტატისტიკა, აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ვიზიტის პროცესში, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის მართვის გუნდს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, პროფესორ-მასწავლებლებს (როგორც აფილირებულ წევრებს, ისე მოწვეულებს), პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს. ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და გულახდილად მონაწილეობისათვის. ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე ვიზიტის პერიოდში დაკმაყოფილდა პროფესიულად და ეფექტიანად.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მომავალი მაღალი კვალიფიკაციის მმართველების მომზადება სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, რომელთაც შეუძლიათ პრაქტიკული უნარების შერწყმა ეფექტურ მენეჯერულ უნარებთან, რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას, იფუნქციონირონ ეფექტურად და ეფექტიანად სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. პროგრამამ აიმაღლა ინტერნაციონალიზაციის პროფილი ორი ხარისხის არჩევანის შემოღებით გაცვლითი სტუდენტებისათვის, რომლებიც ერთ

სემესტრს პარტნიორ დაწესებულებაში __ ავსტრიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში- გაივლიან და უცხოელი სტუდენტების დაშვებით.

როგორც ჩანს, პროგრამა აღწევს მიზნებს, რადგან კანდიდატები მას დადებითად აფასებენ, ძირითადად ისინი, ვინც უკვე დასაქმებულია და დაინტერესებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ცოდნის გაღრმავებით და კარიერული წინსვლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებით. სკოლის ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებლის 25%-მდე გაზრდა სავსებით მიღწევადია. სამიზნე ბაზარია, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთი და სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოები. საგარეო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს პროგრამის შესახებ ინფორმაციის ამაღლების ფორუმებზე მონაწილეობით და სხვა გზებით. თუმცა, ამჟამად სახეზე არ არის კონკრეტული მარკეტინგული გეგმა.

დაინტერესებული მხარეები ჩართული არიან პროგრამების შემუშავების პროცესში ძირითადად სისტემატიურ და პერიოდულ გამოკითხვებში მონაწილეობით სხვადასხვა დროს. ეხლახან ბიზნეს-სკოილის ადმინისტრაციამ და პროგრამამ ბრწყინვალე ინიციატივა წამოიწყეს: მრჩეველთა საბჭოს დაარსება შერჩეული მსხვილი დამსაქმებლების წარმომადგენლებით, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი თავიანთი წვლილი შეეტანათ პროგრამის ჩამოყალიბებაში, რაც, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია პროგრამის განვითარებისათვის.

პროგრამის ინგლისურ ენაზე სწავლება, ინტერნაციონალიზაცია (უცხოელი სტუდენტებისათვის ორი ხარისხის მიღების შესაძლებლობები), სწავლების კარგი ხარისხი, როგორც კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, და ზოგი ძალიან საინტერესო ლექტორი (გავრცელებული ხმების მიხედვით), ასევე ის ფაქტი, რომ პროგრამას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთავაზობს, პროგრამის ძლიერ ელემენტებად მიიჩნევა.

პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად უნდა იყოს გადმოცემული, აერთებდეს ნაწილებს ყოვლისმომცველ სწავლის შედეგებთან, რაც პროგრამის ძლიერ მხარეებს უსვამს ხაზს. მრჩეველთა საბჭოს, კურიკულუმის ექსპერტებთან ერთად (უნივერსიტეტის კიდევ ერთი კარგი ინოვაციური პრაქტიკა), შეუძლია სწავლის შედეგების შემუშავებაში გადამწყვეტი როლის შესრულება იმ სფეროების გამოვლენით, რომელთაც ჭირდებათ გაძლიერება/განვითარება.

უნივერსიტეტი ძალიან სკრუპულოზულად იცავს ჩარიცხვის მაღალ სტანდარტებს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების მოსაზიდად და წარმატებით აღწევს ამ მიზანს. ჩარიცხვის კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ადვილად გასაგები აბიტურიენტებისთვის და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

პროგრამის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლის წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პროგრამის შინაარსის გაძლიერება გარკვეულ სფეროებში შესაძლებელია. პროგრამის მომავალი განვითარების დროს გათავლისწინებულ უნდა იქნას დამატებითი საგნები, არსებული საგნების შინაარსის გამდიდრება/განახლება, სავლადებულო/არჩევითი საგნების საკითხის გადახედვა და .აშ. სტუდენტების მიერ აღნიშნული კურსის ინტეგრაციის საჭიროება და შემოთავაზებული ქმედებები გააუმჯობესებდა პროგრამას.

კურსის სწავლის შედეგები, ზოგადად, ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული შესაბამის სილაბუსში საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ექვსი კრიტერიუმის მიხედვით, თუმცა საგნებს შორის არის განსხვავებები. კურსის სწავლის შედეგების განხილვა და მუდმივი განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის კურუკულუმის ექსპერტებთან ერთად, კარგი პრაქტიკის გაზიარების მაგალითი იქნება.

სწავლებისა და სწავლის მიდგომები უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას სხვადასხვა კურსებზე გუნდური პროექტებისა და დავალებების სახით. სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს პრაქტიკული დავალებები უაღრესად საინტერესოდ და პროგრამისთვის ღირებულად მიაჩნიათ. სტუდენტებმა სიამოვნებით უნდა მიიღონ შეთავაზება, რომ მეტი საველე/პრაქტიკული სამუშაო და ვიზიტი ჩაატარონ კომპანიებში.

კვლევის მეთოდები, აკადემიური წერის კურსი და სამაგისტრო ნაშრომი ქმნიან საფუძველს სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებისათვის. უნივერსიტეტი აღიარებს სტუდენტების მიერ აკადემიური წერის უნარების შეძენის მნიშვნელობას და ინიცირება გაუკეთა კონკრეტულ ქმედება - დააარსა აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს მათთვის და მათი მოთხოვნის საფუძველზე ტრენინგ-სემინარებით მცირე ჯგუფებში.

სამაგისტრო ნაშრომის ამჟამინდელი პრაქტიკა ეფუძნება 2-3 სტუდენტის გუნდურ მუშაობას, რომელთაც მენტორობას უწევს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, სამაგისტრო ნაშრომზე რომ გუნდური მუშაობა სტუდენტებს უვითარებს მნიშვნელოვან უნარებს, როგორებიცაა: გუნდური მუშაობა, დავალებათა მართვა, ინდივიდების მიერ შესრულებული სამუშაოს შეჯამება, გაურკვევლობის და სირთულეების მართვა, მაინც სამაგისტრო ნაშრომი ინდივიდუალურად უნდა შესრულედეს სტუდენტის მიერ, რადგან ფაქტმა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ პირს აქვს უნარი დაწეროს აკადემიური ნაშრომი. ეს უნდა იყოს სტუდენტის ინტერესზე დაფუძნებული ინდივიდუალური სამუშაო. სტუდენტებმა უნდა შეიძინონ უნარები, რომლებიც მათ სადოქტორო დისერტაციის დაწერის დროს გამოადგებათ, მათ უნდა ისწავლონ, როგორ დაძლიონ მარტო სირთულეები, მათ თავად უნდა უხელმძღვანელონ საკუთარ ნაშრომს.

ლექციები სტუდენტთა მთელ ნაკადს უტარდება, მაგრამ სემინარებსა და სხვა სასწავლო აქტივობებზე სტუდენტები უფრო მცირე ჯგუფებად იყოფიან. ყველა კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და მის მიზნებს და შესაძლებელს ხდის კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტთა შეფასება ემყარება მათ მოსწრებას მთელი კურსის განმავლობაში. საერთო შეფასება მოიცავს ორ ნაწილს: შუალედური შეფასება და საბოლოო შეფასება. თითოეული მათგანი განსხვავებულ შეფასების ელემეტებს მოიცავს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიხედვით. ყოველი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ნათლად და გამჭვირვალედ არის ჩამოყალიბებული ყოველი კურსის სილაბუსში. სტუდენტები ინფორმირებული არიან როგორ ხდება მათი შეფასება თითოეულ ელემენტში. ზოგადად, პროგრამა საკმაოდ მკაცრ აკადემიურ მიდგომას იცავს სტუდენტთა შეფასებაში: სწავლების და სწავლის აქტივობები და შეფასება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კურიკულუმის ექსპერტებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების დასაკავშირებლად სათანადო შეფასების მეთოდებთან.

სტუდენტები კონსულტაციებსა და დახმარებას რამდენიმე წყაროსგან იღებენ. აკადემიურ დახმარებას, ძირითადად, უზრუნველყოფს პროგრამის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა უაღრესად დადებითად აღნიშნეს მათი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის დაგეგმვისთვის, კურსის შეცვლისთვის ან სწავლის გადავადების დროს მათთვის გაწეული დახმარება. რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეული სკოლის ან უნივერსიტეტის დონეზე, როგორებიცაა, სტუდენტებთან ურთერთობის სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, საგარეო ურთიერთობათა სამსახური, დამსაქმებლებთან ურთიერთობისა და კარიერის

დაგეგმვის სამსახური, უზრუნველყოფენ დახმარებას და კონსულტაციებს, როგორც აკადემიური და ექსტრა-კურიკურული აქტივობებისთვის, ასევე დასაქმებისა და კარიერის დაგემვისათვის.

პროგრამას ახორციელებს 17 ლექტორი, რომელთა უმრავლესობა აფილირებული აკადემიური პერსონალია (1 პროფესორი, 10 ასოცირებული- და 3 ასისტანტ-პროფესორი) და 3 მოწვეული ლექტორი. აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული უკავშირდება აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებულ მდგრადობას და მოწვეული პერსონალის მხრიდან პროგრამის საჭიროებებზე მორგების მზაობას. სწავლებაში ჩართული პერსონალის დატვირთვა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, და ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის შესაძლებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის ზედმახედველობის ამჟამინდელი პრაქტიკა აკადემიურად მკაცრია. სტუდენტებს ზედამხედველობას უწევს აკადემიური პერსონალი, რომელიც ბოლო 5 წელი აქტიურადაა ჩართული კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მიესადაგება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას. სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი წარმოგვიდგენს პროცესის დეტალებს. აკადემიური წერის უნარების არაერთგვაროვნების მიზეზები უნდა აღმოიფხვრას და ყველა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სათანადო ტრენინგი აკადემიური წერის უნარებში, ვიდრე სამაგისტრო ნაშრომზე დაიწყებდეს მუშაობას. აუცილებლად საჭიროა დამატებითი კვალიფიციური ნაშრომის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომზე ინდივიდუალური მუშაობის მხარდაჭერის მიზნით.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას, როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ სფეროებში. ხელშეწყობა გულისხმობს კონფენერციაში მონაწილეობის, ერაზმუსის გაცვლითი პროგრამის და მათი კვლევითი საქმიანობის სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას. დამატებით, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზანს ემსახურება 2017 წელს ბიზნეს-კვლევითი ცენტრის დაარსება, რომლის როლია აკადემიური პერსონალის ჩართულობის მხარდაჭერა სამეცნიერო/კვლევით აქტივობებში. პედაგოგიური თვალსაზრისით, ჩამოყალიბდა შეფასების მეთოდებისა და სწავლება/სწავლის პროფესიული ტრენინგის მოდული, ,,ერაზმუს პლუსის" დახმარებით. კიდევ ერთი დახმარებაა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მიერ კურსების რიდერების მომზადება და გამოქვეყნება- , - აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული სასწავლო მასალები ბეჭდურ ან ელექტრონულ ფორმატში.

საერთო ჯამში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები აკადემიურად და პროფესიულად მაღალი კომპეტენციის მქონენი არიან; რის ნაკლებობაც იგრძნობა, ესაა მათ შორის გუნდური დამოკიდენულება. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ ისინი ძალიან ზრუნავენ თავიანთ საგნებზე, მუშაობენ ერთობლივად თემატურ დონეზე, მაგრამ საჭიროა ინფორმირებულობა და ჩართულობის გაძლიერება პროგრამის დონეზე .

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სრული დატვირთვით მოქმედი უმაღლესი საგანათლებლო დაწესებულებაა, გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭუვილობა სწავლებისა და სწავლის აქტივობების განსახორციელებლად, რაც საერთაშორისო უნივერსიტეტების სტანდარტებს შეეფერება.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შესანიშნავი საინფორმაციო რესურსების წყაროა, სადაც იოლია საინფორმაციო რესურსებზე წვდომა სხვადასხვა სახის მომსახურებებით და ამ

სახით წვლილი შეაქვს აკადემიური პროცესების ხარისხის განვითარებაში, სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვაში და ასევე, წარმოშობს ახალ ცოდნას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი ადმინისტრაციული ორგანოა და ექვემდებარება უნივერსიტეტის უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს, აკადემიურ საბჭოს, რომელსაც რექტორი თავმჯდომარეობს. ხარისხის უზრიბველყოფის სამსახურს მკვეთრად განსაღვრული დებულება აქვს, რომლის ძირითადი პრინციპები და პირობები.

- **რეკომენდაციები**

უნდა გადაიხედოს მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები პროგრამისათვის. შესაძლებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება. განიხილეთ პროგრამის სწავლის შედეგების გაძლიერდება საინფორმაციო ტექბოლოგიებისა და სისტემების სფეროში. განიხილეთ კურსის სწავლის შედეგები და გააგრძელეთ განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის კურიკულუმის ექსპერტებთან ერთად.

გააძლეირეთ პროგრამის შინაარსი მონაცემთა მეცნიერებისა და საინფორმაციო მხარდაჭერის სისტემების სფეროში ბიზნეს ოპერაციებისა და სტრატეგიისათვის. შეიმუშავეთ და შეტანეთ პროგრამაში პროექტის მართვისა და რისკის მართვის კურსები.

სამაგისტრო ნაშრომის პროექტი უნდა შესრულდეს ინდივიდუალურად. გამოკითხულ დამსაქმებლებს სურვილი აქვთ წვლილი შეიტანონ სამაგისტრო ნაშრომის პროექტებში იმ მონაცემებისა და პრობლემური სფეროების უზრუნვლეყოფით, სადაც სტუდენტის კვლევამ შესაძლოა შედეგი მოიტანოს.

უზრუნველყავით, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს აკადემიური წერის უნარების სათანადო ტრენინგი, ვიდრე შეუდგებოდეს სამაგისტრო ნაშრომის პროექტზე მუშაობას. ამასთან ერთად სამაგისტრი ნაშრომის წესმა უნდა დაადგინოს დეტალური ბიბლიოგრაფიული მოთხოვნები (მაგ; ინტერნეტ-წყაროების დასახელებისგან თავის არიდება შესაძლებლობის ფარგლებში, უფრო მეტად სამეცნიერო წყაროების, ახალი წიგნების გამოყენება, და ა.შ.) და წყაროს დასახელების კონკრეტული სტილის ინსტრუქციები (თუ დადგენილია, რომ დაცულ უნდა იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ციტირების წესი, მაშინ ეს კიდევ ერთხელ გაიმეორეთ სამაგისტრო ნაშრომის რეგულირების დოკუმენტში, რადგან თვალსაჩინოა წყაროების/ციტირების განსხვავებული სტილი)

მოამზადეთ დამატებითი კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც დაგჭირდებათ სტუდენტების დასახმარებლად ინდივიდუალური სამაგისტრო ნაშრომების წერის დროს.

მექანიზმების ჩამოყალიბება შეფასების მეთოდების შესატყვისობის უზრუნველსაყოფად სამაგისტრო პროგრამის დონესთან.

გააძლიერეთ გუნდური მუშაობა აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის და აქცენტი გააკეთეთ უფრო მთლიან პროგრამაზე, ვიდრე ინდივიდუალურ საგნებზე. პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ პედაგოგიურ პერსონალს ჰქონდეს მიკუთვნებულობის განცდა პროგრამასთან დაკავშირებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

შემუშავდეს პროგრამის უფრო კარგი მარკეტინგული სტრატეგია. მეტი ყურადღება მიაქციეთ პროგრამის გასაჯაროებას. მუდმივად განაახლეთ ვებ-გვერდი.

გაითვალისწინებთ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაზე გამოცემული შესაბამისი პუბლიკაციები. შესაბამისად:
- EU-The programme Learning Outcomes: http://ec.europa.eu/education/ects/users-guide/learning-outcomes_en.htm

კანდიდატის შეფასების სქემის დეტალური აღწერა საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ-გვერდზე.

  განაახლეთ მართვის ეკონომიკის კურსი CEE Economics -ში ადგილობრივი ეკონოკური გარემოს ასახვის მიზნით. გადახედეთ სოციალური მედია მარკეტინგისა და ციფრული მარკეტინგის ცალკე კურსებად არსებობის შესაძლებლობას.

მოიწვიეთ პროფესიონალები ინდუსტრიისა და ბიზნეს სექტორიდან კონკრეტული კურსების ფარგლებში, ლექციების წასაკითხად კონკრეტულ თემებზე და შემთხვევებზე მათი გამოცდილებიდა, რათა საქართველოს (და ალბათ უცხოური) ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს რეალური სიტუაციები განხილულ იქნას საკლასო ოთახში.

გამოიყენეთ დამსაქმებლის სურვილი დაეხმაროს სამაგისტრო ნაშრომის პროექტს. იფიქრეთ, დააწესოთ პრიზი საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომისათვის (დამსაქმებელს შეუძლია ამაში დახმარება) და ამით სტიმული მიეცით სტუდენტებს. გააკეთეთ სამაგისტრო ნაშრომის მენტორებისა და დამსაქმებლების შეხვედრის ორგანიზება სამაგისტრო ნაშრომის პროექტის განსაზღვრის მიზნით.

სთხოვეთ სტუდენტებს დაამუშაონ 5-6- გვერდიანი სამეცნიერო სტატია მათი სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე კონფერენციაზე წარსადგენი ფორმით.

აუმაღლეთ ცნობადობა და მიაწოდეთ სტუდენტებს ინფორმაცია აკადემიური წერის ცენტრის სერვისების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის ამაღლებას და კვლევის შედეგების შესაძლო გამოქვეყნებას.

იფიქრეთ, შემოიღოთ მოდერაციის პროცესი ყოველი კურსის შეფასების ელემენტებზე თანასწორთა დაკვირვების გამოყენებით.
დანერგეთ პედაგოგიური პრაქტიკის კარგი მაგალითების გაზიარების პროცესი პედაგოგიურ პერსონალს შორის. გამოიყენებთ სტუდენტების უკუკავშირი საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად.

ვინაიდან ტექნოლოგიები უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენენ საგანმანათლებლო პროცესზე, უნივერსიტეტმა უნდა იფიქროს პლატფორმების განახლებაზე ვიდეო-ლექციების ჩაწერისა და ოფ-ლაინ ხელმისაწვდომობის (ვიდეო-სტრიმინგი) უზრუნველყოფის მხარდასაჭერად. ზოგიერთმა სტუდენტმა ეს გასაუბრების დროს ახსენა და რადგან MOOCS -ის მსგავსი საშულებები უფრო და უფრო პოპულარული ხდება, კონვენციურმა პროგრამებმა უნდა გამოიყენონ ტექნოლოგიების ასპექტები, როგორც სერვისი მათი სტუდენტებისათვის.

ჩვენი რჩევაა ყველა პერიოდული კვლევა ჩატარდეს დროულად თანმიმდევრულობის შენარჩუნების მიზნით, მოგროვდეს გრძელვადიანი მონაცემები, გაკონტროლდეს დინამიკა და განისაზღვროს განვითარების ტენდეციები სისტემური კვლევის შედეგად.

რადგან მრჩეველთა საბჭოც ჩართულია ყველაზე მოთხოვნადი კომპეტენციებისა და უნარების იდენტიფიკაციაში და აქტიურად მუშაობს პროგრამის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობაზე, ჩვენი რჩევაა, რომ განაახლოთ დამსაქმებლის ფოკუს-ჯგუფების ინტერვიუს გზამკვლევი, რომელიც მოცემულია ,,დამსაქმებლების კვლევის" დოკუმენტში და მეტი ფოკუსი გააკეთოთ MBA პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებსა და უნარებში ხარვეზების გამოვლენაზე. შედარებითი ანალიზის მიგნებები სამომავლოდ შეიძლება გამოიყენოთ პროგრამის ხარისხის ასამაღლებლად. ამასთან ერთად, სასურველია, შეამოკლოთ დამსაქმებელთა კვლევის პერიოდი 3 წლიდან 2 წლამდე, რადგან კურსდამათარებულთა კომპეტენციებისა და უნარების გაზომვა და შეფასება გარე ხარისხის უზრუნველეყოფის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, ჩვენი რჩევაა, დაიწყოთ წინასწარ-განსაზღვრული საკლასო დაკვირვების ნიმუში, რომლებსაც ჩაატარებენ ერთი და იმავე უსდ-ს კოლეგები ამავე და ან სხვა პროგრამიდან, ან სხვა უსდ-ებიდან მოწვეული კოლეგები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნესის სკოლაში მრჩეველთა საბჭოს ფორმირება ხელს უწყობს დამსაქმებელთა აქტიურ ჩართულობას პროგრამის ჩამოყალიბებაში და მხარს უჭერს მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტსა და ბიზნეს-სექტორს შორის.

კურიკულუმის ექსპერტების პოზიციების ჩამოყალიბება, რომლებიც დახმარებას უწევენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კურსის სილაბუსის ჩამოყალიბებაში და პროგრამის სწავლის შედეგების ციკლის მიდგომასთან მორგებაში.

აკადემიური წერის ცენტრის დაარსება.

ერაზმუს პლუსის მულტი-ფუნქციური პროექტების შედეგების გამოყენება პერსონალისთვის პროფესიული ტრენინგ-მოდულის შესაქმნელად.

ბიბლიოთეკის, როგორც საინფორმაციო რესურსების ცენტრის, ფუნქციონირება მრავალი როლით და მრავაფეროვანი სერვისებით (ტრენინგი, შიდა პუბლიკაციები), რომელიც ინტეგრირებულია საგანმანათლებლო პროცესში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სჯაროდ გაცხადებული მისიაა, ,, ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე". ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები კარგად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მისი ამოცანაა მომავალი მაღალი კვალიფიკაციის ხელმძღვანელების მომზადება სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის უზრუნველყოფით, მისი გამოყენების შესაძლებლობების შერწყმით ეფექტურ მენეჯერულ უნარებთან, რაც მათ საშუალებას მისცემს იმოქმედონ ეფექტურად და ეფექტიანად სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. 2011 წელს დაწყებული პროგრამა მუდმივად ვითარდება. გაიზარდა აფილირებული პროფესორების რიცხვი 2-დან 13-მდე, პროგრამა ისწავლება ინგლისურ ენაზე, განვითარდა რაოდენობრივი და კვლევითი დიზაინის სფეროები, შესრულდა პროექტი მართვის კურსის შემოღების საპილოტე სამუშაო, გაიზარდა ინდუსტრიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის დონე. გასული, 2017 წელი, გარდამტეხი იყო პროგრამის განვითარებისათვის. პროგრამამ აიმაღლა საერთაშორისო იმიჯი შემდეგი ნაბიჯებით: ა) ორმაგი ხარისხის არჩევანის შემოღება გაცვლითი სტუდენტებისათვის, რომლებიც ერთ სემესტრს გადიან პარტნიორ უნივერსიტეტში-ავსტრიის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტში, და, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ბურგენლანდის სტუდენტებს მიენიჭებათ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ილიაუნიში ერთი სემესტრის სწავლის შემდეგ, და ბ) უცხოელი სტუდენტების მიღება. ორივე ნაბიჯი დადებითად იქნა აღქმული (ამჟამად სტუდენტთა გაცვლა ორივე მიმართულებით მიმდინარეობს, სხვა ქვეყნებიდან უნივერსიტეტში 66 აპლიკაცია შემოვიდა, მიღების მკაცრი მოთხოვნებისა და შეთავაზებული პოზიციების მცირე რიცხვის გამო, მხოლოდ 11 აპლიკანტგი იქნა მიღებული). საქართველო ბიზნეს წრეებისა და პოტენციური დამსაქმებლებისათვის ნამდვილად სასარგებლოა ამგვარი განვითარება, რომელიც რეალურად საერთაშორისო პროფილს ანიჭებს პროგრამას და მის კურსდამთავრებულს, რომელიც კომპეტენტურად იმოქმედებს საერთაშორისო გარემოში. როგორც ჩანს, პროგრამა აღწევს მიზნებს, რადგან კანდიდატები მას დადებითად აფასებენ, ძირითადად ისინი, ვინც უკვე დასაქმებულია და დაინტერესებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ცოდნის გაღრმავებით და კარიერული წინსვლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებით. პროგრამის მიმართ მოთხოვნა გაზრდილია (გასულ წელს ქართველი კანდიდატების რიცხვი გაორმაგდა). სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ერთხმად დაადასტურეს საერთო კმაყოფილება, ზოგიერთმა მათგანმა დიდი ენთუზიაზმითაც, თუ როგორ გაამართლა მათი მოლოდინები პროგრამამ. სტუდენტების მიერ ამ პროგრამის არჩევანის მთავარი მიზეზია ორმაგი ხარისხის

შესაძლებლობა, ზოგიერთისთვის მეგობრის შეთავაზება იყო, ზოგისთვის კი არჩევანი საინტერესო ლექტორებმა განაპირობეს. მოლოდინები ძალიან მაღალი იყო და, თუ არ გავითვალისწინებთ სტუდენტების ზოგიერთ შენიშვნას, როგორც ჩანს, მათი დაკმაყოფილება შესაძლებელი აღმოჩნდა.

მონაწილე მხარეები ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში, ძირითადად, სტუდენტურ გამოკითხვებში ჩაწერილი მათი შენიშვნების სისტემატიური და პერიოდული მოგროვებითა და ანალიზით კურსისა და პროგრამის დონეზე, ფინალურ გამოკითხვებში, კურსდამთავარებულთა დასაქმების გამოკითხვებში და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეკომენდაციებში.

ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ბიზნესის სკოლის ადმინისტრაციის მიერ ბოლოდროინდელ ინიციატივას ,,მრჩეველთა საბჭოს" ჩამოყალიბების თაობაზე, რომელთა შემადგენლობაშიც მსხვილი დამსაქმებლების წარმომადგენლები არიან, რომელთაც გამოთქვეს პროგრამის განვითარებაში წვლილის შეტანის სურვილი. ექსპერთა ჯგუფს ჰოქნდა საშუალება, შეხვედროდა მერჩეველთა საბჭოს წევრებს და დარწმუნებულია, რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროგრამის განვითარებაში (მაგ; კონკრეტული იდეები კურსდამთავრებულთა საჭირო უნარების ტენდენციების შესახებ, სამაგისტრო პროგრამის ხელშეწყობის სურვილი, რათა თანამედროვე ბიზნესის პრობლემები უფრო გამოსაჩენი გახდეს, ქეოსები შემუშავება, რომლებიც უფრო შეესაბამება საქართველოს ეკონომიკას და ბიზნეს გარემოს, და ა.შ.)

პროგრამის ინგლისურ ენაზე სწავლება, ინტერნაციონალიზაცია (უცხოელი სტუდენტებისათვის ორმაგი ხარისხის მიღების შესაძლებლობანი), სწავლების კარგი ხარისხი, როგორც კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, და ზოგი ძალიან საინტერესო ლექტორი (გავრცელებული ხმების მიხედვით), ასევე ის ფაქტი, რომ პროგრამას სახელმწიფო უნივერსიტეტი თავაზობს, პროგრამის ძლიერ ელემენტებად მიიჩნევა. უცხოელმა სტუდენტებმა შეაქეს უნივერსიტეტის რეაგირება და საკმარისი ინფორმაციით უზრუნველყოფა პროცედურებისა და სწავლის პროცესის შესახებ. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოლოდინები მაღალი იყო და, როგორც გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, მათ ისინი დაიკმაყოფილეს.

სკოლის ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებლის 25%-მდე გაზრდა სავსებით მიღწევადია. სამიზნე ბაზარია, ძირითადად, აღმოსავლეთ პოსტ-საბჭოთა ქეყნები, ახლო აღმოსავლეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები. საგარეო უერთიერთობატა დეპარტამენტი ახორციელებს პროგრამის მხარდაჭერას ფორუმებზე და სხვა საშუალებებით, მაგრამ სახეზე არ არის კონკრეტული მარკეტინგული გეგმა. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის იოლ ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირების მიერ. მაგალითად, ,,ორმაგი პრიზის" არჩევანი, რომელიც პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევა, არსად არ ჩანს გამოკვეთილად და მხოლოდ პროგრამის აღწერის დოკუმენტში იძებნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერილობა*
- *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი*
- *ბიზნესის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა*
- *ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი*
- *სხვადასხვა გამოკითხვათა შედეგები*
- *გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან*
- *გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან*
- *გასაუბრება აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან*
- *გასაუბრება დასაქმბულების წარმომადგენლებთან*

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შემუშავდეს პროგრამის უფრო კარგი მარკეტინგული სტრატეგია.
- მეტი ყურადღება მიაქციეთ პროგრამის გასაჯაროებას. მუდმივად განაახლეთ ვებ-გვერდი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ,,მრჩეველთა საბჭოს" დაარსება;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შესამჩნევად გაძლიერდა.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების ვრცელი სია (სულ 24), რომელიც ფოკუსირებულია პროგრამის მიზნების მხარდაჭერაზე, კლასიფიცირებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად და მოცემულია პროგრამის აღწერის დოკუმენტში. მიუხედავად იმისა, რომ მიზანია პროგრამის ყველა ასპექტის ხაზგასმა, სწავლის შედეგების ამ უზარმაზარმა რაოდენობამ შესაძლოა მიგვიყვანოს ბუნდოვან ეფექტამდე.

ზოგიერთი სწავლის შედეგი ზედმეტად არის დამუშავებული მართვის კონკრეტულ სფეროებთან ან საგნებთან მიმართებაში. მაგალითად, სწავლისა და გაცნობიერების ქვეშ, არ არის საჭირო კონკრეტული თემების დასახელება. ამის მაგივრად, ყურადღება უნდა დაეთმოს ინტეგრირებულ ცოდნას. მაგალითად, ასეთი სწავლის შედეგი: ,,ორგანიზაციის

შესაძლებლობების შეფასების უნარი, ფუნქციური და მხარდამჭერი სფეროების ურთიერთკავშირის გაგება, ორგანიზაციის არსებული სტრატეგიული პოზიციის შეფასება მისი შიდა და გარე გარემოს კონტექსტში, და რეკომენდაციის გაცემა სტრატეგული ალტერნატივების შესახებ" შესაძლოა უნდა ფარავდეს უფრო მეტ საკითხებს ამ სფეროში. საბოლოოდ, ეს სამაგისტრო პროგრამაა და ფოკუსი არ უნდა იყოს სხვადასხვა მენეჯერული ფუნქციების საფუძვლების ცოდნაზე, არამედ ცოდნის გაღრმავებასა და ინტეგრაციაზე.

მსგავსი მიდგომა შესაძლოა გამოყენებულ იქნას ასევე სხვა სფეროებში,

პროგრამის სწავლის შედეგი გადმოცემული უნდა ოყოს თანმიმდევრულად და აერთიანებდეს ნაწილებს ყოვლისმომცველ შედეგებთან, მოერიდოს განმეორებებს და დეტალებს, რომლებიც საგნის დონის სწავლის შედეგებს უფრო შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სწავლის შედეგებისთვის დადგენილი რიცხვის სათანადო წესი, ევროკავშირისა და ამერიკის უნივერსიტეტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათმა მაქსიმალურმა რიცხვმა არ უნდა გადააჭარბოს 10-12-ს (1-2 თითეული სფეროსთვის).

სწავლის შედეგებმა, ასვე. ხაზი უნდა გაუსვან პროგრამის ძლიერ მხარეებს. მაგალითად, სტუდენტებს შეუძლიათ ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის ეფექტური ვერბალური და წერითი უნარების გამომუშავება, შეუძლიათ, ასევე, მენეჯერული პასუხიმგებლობის აღება უცხოურ ბიზნეს გარემოში, თუმცა ყველაფერი ეს ნათლად და გამოკვეთილად არ არის ნაჩვენები სწავლის შედეგებში.

გარკვეულ სფეროებში საჭიროა სწავლის შედეგების განვითარება. მაგალითად, ამჟამინდელი სწავლის შედეგები ზუდავს IT-ს როლს საკომუნიკაციო რესურსის დონეზე და არ უსვამს ხაზს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, როგორც თანამედროვე ბიზნესის სტრატეგიული მამოძრავებლის, როლს.

სწავლის შედეგების რუქის სქემა გვაჩვენებს კაბშირს სვალადებულო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. სამაგისტრო ნაშრომიც ამ სქემაში უნდა იყოს, რადგან ის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია.

შენიშვნები სისტემატიურად და პერიოდულად გროვდება სტუდენტთა გამოკითხვების სახით კურსის და პროგრამის დონეებზე, ასევე ფინალური გამოკითხვების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვების, კურსდამავრებულთა დასაქმების გამოკითხვების, და აკადემიური პერსონალის რეკომენდაციების სახით და ხდება მათი გათვალისწინება სწავლის შედეგების განახლების დროს. აკადემიური პერსონალის ერთობლივი ძალისხმევა ძირითადად სფეროს (თემატურ) დონეზე არსებობს, სადაც ანალიზდება სტუდენტთა შედეგები და ფასდება სწავლის შედეგების მიღწევა. მართალია ეს მიდგომა ეფექტურად მუშაობს საგნის დონის სწავლის შედეგებისათვის, მაგრამ პერსონალს შორის მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა ერთობლივად განსაზღვრონ პროგრამის დონის სწავლის შედეგები.

მრჩეველთა საბჭოსაც უმთავრესი როლუს თამაში შეუძლია სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში იმ სფეროების გამოვლენით, რომელთა გაძლიერებაც არის საჭირო.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი აცნობიერებს სწავლის შედეგების ციკლის მნიშვნელობას და როლს სტუდენტზე-ორიენტირებულ განათლებაში და შექმნილი აქვს ,,კურიკულუმის ექსპერტების" პოზიციები ხარისხის უზრუნველყოფის ადმინისტრაციაში, რომელთაც აკადემიკოსებთან ერთად მუშაობა და მათი კონსულტაციებით და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში მხარდაჭერის უზრუნველყოფა ევალებათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერილობა*
- *გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან*
- *გასაუბრება დასაქმბულების წარმომადგენლებთან.*

რეკომენდაციები:

- უნდა გადაიხედოს მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები პროგრამისათვის.

შესაძლებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება. ○ განიხილეთ პროგრამის სწავლის შედეგების გაძლიერდება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების სფეროში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ გაითვალისწინებთ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაზე გამოცემული შესაბამისი პუბლიკაციები. შესაბამისად: - EU-პროგრამის სწავლის შედეგები: http://ec.europa.eu/education/ects/users-guide/learning-outcomes_en.htm - Montana University Guide to Developing Program Learning Outcomes https://www.montana.edu/provost/documents/assessment/002%20Developing%20Program%20Learning%20Outcomes.pdf - Center for University Teaching, Learning, and Assessment, University of West Florida https://uwf.edu/media/university-of-west-florida/offices/cutla/documents/Writing-Graduate-Level-Learning-Outcomes(2018).pdf
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ კურიკულუმის ექსპერტების პოზიციების ფორმირება პროგრამის განვიტარების პროცესისა და სწავლის შედეგების ციკლის მიდგომის მხარდაჭერის მიზნით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა იცავს სტუდენტთა მიღების აკადემიურად მკაცრ კრიტერიუმებს. კანდიდატები ფასდებიან სამ ნაწილად, თითეულ მათგანს თავისი წონა აქვს კანდიდატის საერთო შეფასებაში: - ზოგადი სამაგისტრო გამოცდა (გამსვლელი ქულა 35%); - კანდიდატის რეზიუმე დამსაქმებელი კომპანიის/ორგანიზაციის ან უშუალო ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაციით, დასაქმების სტატუსისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა სამუშაო ადგილიდან, ან სხვა ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გაცვლით პროგრამაში, საგანმანათლებლო ტრენინგში, სემინარში, კონფერენციაში და/ან სტაჟირებაში მონაწილეობას (საგანმანათლებლო ელემენტები- 24.5%, სამუშაო გამოცდილება- 10.5%). არსებობს კონკრეტული კარგად განსაზღვრული ქვე-კრიტერიუმები საგანმანათლებლო და სამუშაო გამოცდილების შესაფასებლად. - უნივერსიტეტის მისაღები გამოცდის ჩაბარება (აპლიკანტს მოეთხოვება ქეისის ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების კონტექსტში) და ინგლისური ენის კარგად ფლობის დეონსტრირება (35%). ორი კომპონენტისთვის არსებობს კონკრეტული ქვე-კრიტერიუმები. ვიზიტის განმავლობაში დამტკიცდა, რომ ჩარიცხვის კრიტერიუმები გამჭვირვალეა და აპლიკანტების მიერ კარგადაა გაგებული. უნივერსიტეტი ძალიან სკრუპულოზულად იცავს მიღების მაღალ სტანდარტებს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების მოსაზიდად და წარმატებით აღწევს ამ მიზანს. ყურადსაღებია, რომ უცხოელი სტუდენტების მიღების პირველ წელს, პროგრამამ მხოლოდ 10 მიიღო 66 აპლიკანტიდან ინგლისური ენის ფლობის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო დანარჩენების შემთხვევაში. მიღების პროცედურების ზოგადი აღწერა საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც ასევე ნახავთ დეტალურ გზამკვლევს საერთაშორისო სტუდენტების მომართვის პროცესისთვის, რომელთაც შეუძლიათ ონლაინ აპლიკაციის შევსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *მიღების მოთხოვნები და შეფასები სისტემა*
- *გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან*
- *გასაუბრება სტუდენტებთა და კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აგებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტში შემუშავდა და შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად სამაგისტრო დონისათვის. სტუდენტის დატვირთვის 120 კრედიტი იყოფა: სასწავლო კურსების- 90 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომის პროექტისთვის - 30 კრედიტი. სტუდენტთა დატვირთვა თანაბრადაა გადანაწილებული სემესტრებს შორის და თითეული სემესტრის პერიოდში. სასწავლო კომპონენტები- 6 კრედიტი თითეული მათგანისთვის, რომელიც მოიცავს 9 სავალდებულო და 6 არჩევით კურსს (11 შეთავაზებულიდან).

ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობისათვის გაცვლით სტუდენტს უნდა ქონდეს 130 კრედიტი და გაიაროს ორი დამატებითი საერთაშორისო კომუნიკაციის კურსი ერთი- ბურგერლანდის უნივერსიტეტის კურიკულუმიდან, და ერთი ექსტრაკურიკულარული კურსი ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ჩაეთვლებათ სტუდენტებს საერთაშორისო ბიზნესის სამაგისტრო კვალიფიკაციისთვის(სულ 140 კრედიტი). უნივერსიტეტების კურსებს შორის მკაფიო და გამჭვირვალე ექვივალენტურობის სქემა, რასაც ილიუნი თავაზობს გაცვლით სტუდენტებს, მიცემულია პროგრამის აღწერაში.

პროგრამის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლის წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პროგრამის შინაარსის გაძლიერება გარკვეულ სფეროებში შესაძლებელია. შესაბამისად:

- მონაცემების მეცნიერება, მათ შორის, big data ანალიზი, ბიზნესის ანალიტიკა და ა.შ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი ბიზნესისთვის მარკეტინგული სტრატეგიებისა და რისკების მართვის, ფინანსური ოპერაციებსათვის, არ არის სათანადოდ წარმოდეგნილი პროგრამის შინაარსში ერთადერთია ციფრული მარკეტინგის კურსის მცირე ნაწილი, როცა რაოდენობრივი მეთოდების კურსი ფოკუსირებულია კონბეგციურ სტატისტიკაზე (რეგრესიისა და დროთა რიგებოს მოდელები).
- ტექნოლოგიის (განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიების) როლი ახლადდაარსებულ კომპანიებში და მისი როლი კომპანიის სტრატეგიის დახვეწაში, ოპერირების შესაძლებლობანი და ინდუსტრიული კონკურენცია გამოწვევებია დღევანდელი ბიზნესისთვის, რაც ასახული უნდა იყოს პროგრამის შინაარსში.
- პროექტის მართვა სფეროა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, რადგან სხვადასხვა წყაროებიდან წამოსული სახსრები განვითარებისთვის კონკრეტული პროგრამებისა და პროექტების დაფინანსებით ხორციელდება. ბიზნეს სტრატეგიაც მატერიალიზებულია ბიზნეს პორტფოლიოების სახით. კურსი, რომელიც საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობდა წარსულში, ისევ უნდა გადაიხედოს მენეჯერული თვალსაზრისით. ამჟამად, მხოლოდ პროექტის დაგეგმვის თემაა ნახსენები საოპერაციო მართვის კურსში.
- რისკის მართვა თანაბრად საჭირო სფეროა ბიზნესის დაგეგმვისთვის, რომელსაც, ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს.

სხვა გასათვალისწინებელი საკითხები პროგრამის კონტექსტში:

- ორი არსებული კურსი -ციფრული მაკეტინგი და სოციალური მედია მარგეტინგი- შეღავაზებულილა, როგორც არჩევითი. ვინაიდან სოციალური მედია ციფრული მარკეტინგის ინტეგრალური ნაწილია, არის შესაძლებლობა, რომ სოციალური მედია მარკეტინგის კურსი ინტეგრირდეს ციფრულ მარკეტინგში. რადგან ორივე კურსი არჩევითია, სტუდენტებს მაინც ექნებათ ამ სფეროში კურსის არჩევის საშუალება, როცა სხვა საგნების კურსების (იხ. ზემოთ) შეთავაზება შესაძლებელია, როგორც არჩევითი კურსებისა.
- კურსის მეტად ფოკუსირების შესაძლებლობა ეკონომიკურ გარემოზე, მაგალითად, CEE ეკონომიკა, რომელიც ბურგენლანდის უნივერსიტეტში ისწავლება, როგორც მართვის ეკონომიკის ექვივალენტი, უფრო ფოკუსირებულია რეგიონულ ეკონომიკაზე, როცა მართვის ეკონომიკა მიკრო-ეკონომიკის მთავარი კურსია (როგორც ნაჩვენებია შესაბამის სწავლის შედეგში). ვინაიდან მართვის ეკონომიკა პროგრამის სხვა კურსის წინაპირობა არ არის, ეს ცვლილება გავლენას არ მოახდენს დანარჩენ პროგრამაზე.

რა თქმა უნდა, პროგრამის მომავალი განვითარებისთვის მრავალი გზა და მიდგომა შეიძლება აირჩიოთ (მაგ; დამატებითი საგნების შემუშავება, არსებული საგნების შინაარსის გამდიდრება/ განახლება, სავალდებულო/არჩევითი საგნების გადახედვა, და ა.შ.). კურსის ინტეგრაციის საჭიროება სტუდენტებმაც აღნიშნეს, როდესაც დავუსვით კითხვა, რას შემოგვთავაზებდნენ პროგრამის გასაუმჯობესებლად. დუალური პროგრამის დებულებების შეზღუდვები დაცულ უნდა იქნას. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აქტიური ჩართვა და ინტერაქცია აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალსა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებს შორის, შეუცვლელია ამ პროცესისათვის. სტუდენტების რჩევები: საგნების ინტეგრაცია და აქცენტი კრეატიულობაზე და ინოვაციებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერილობა* ○ *პროგრამის სილაბუსები* ○ *სწავლის შედეგების საგზაო რუქა* ○ *თანამშრომლობის მემორანდუმი ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან.* ○ *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და შეჩერების წესი და პროცედურები.* ○ *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები* ○ *გასაუბრება პროგრამის კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან.*
რეკომენდაციები: ○ გააძლეირეთ პროგრამის შინაარსი მონაცემთა მეცნიერებისა და საინფორმაციო მხარდაჭერის სისტემების სფეროში ბიზნეს ოპერაციებისა და სტრატეგიისათვის. ○ შეიმუშავეთ და შეტანეთ პროგრამაში პროექტის მართვისა და რისკის მართვის კურსები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ გადახედეთ სოციალური მედია მარკეტინგისა და ციფრული მარკეტინგის ცალკე კურსებად არსებობის შესაძლებლობას. ○ განაახლეთ მართვის ეკონომიკის კურსი CEE Economics -ში ადგილობრივი ეკონომიკური გარემოს ასახვის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული მოდულისათვის შემუშავებულია დეტალური, კარგად შედგენილი საგნის აღმწერი (სილაბუსი). თითოეული სილაბუსი მოიცავს: კურსის მიზნებს, განზრახულ სწავლის შედეგებს, სწავლების გამოყენებულ მეთოდებს სწავლის შედეგების მისაღწევად, კვირის შინაარსის დეტალურ აღწერას, შესაბამის ლიტერატურას, ინდივიდუალურ მუშაობას, შეფასების მეთოდებს თითოეული კომპონენტისათვის, ისევე, როგორც შეფასების ქულასთან სტუდენტის მიღწევის დაკავშირების მკაფიო კრიტერიუმებს. პროგრამის მართვის გუნდი და პედაგოგები შექებას იმსახურებენ ასეთი დეტალური და კარგად ორგანიზებული სილაბუსების შემუშავებისათვის.

შესაბამისი სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლად არის მითითებული სილაბუსებში საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს 6 კრიტერიუმის შესაბამისად. ,,კომპეტენციების საგზაო რუქის" შინაარსი გვიჩვენებს რომელი კურსი ან პროგრამის კომპონენტი შეესაბამება სწავლის შედეგების ექვს ტიპს (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გაკეთების, კომუნიკაციის, სწავლის უნარები და ღირებულებები).

საერთო ჯამში საგნის სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის გამოხატული, ვიდრე პროგრამის სწავლის შედეგები. საგნებს შორის არსებობს განსხვავებები.

თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საგნის სწავლის შედეგები წარმოადგენდეს სასწავლო პროცესის შედეგს, რომელიც გაზომვადია საგნის დონეზე. ვინაიდან ეს კურსი სამაგისტრო დონისაა აქცენტი უფრო ცოდნის გამოყენებაზე და დასკვნის უნარზეა გადატანილი, ვიდრე საბაზისო ცოდნაზე. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ თავიდან ავირიდოთ სიტყვების გამოყენება: ..გაგება", ,,დაფასება", ,,რაღაცის შესახებ ცოდნა", ,,ინფორმირებულობა" და გამოვიყენოთ სიტყვები: ,, განსაზღვრა", ..სია", ,,აღიარება", ,,აღწერა", ,,ახსნა", ,,გამოვლენა", ,,განთავსება", ,,დახარისხება", ,,განხორციელება", ,,შესრულება", ,,კატეგორიზაცია", ,,შედარება", ,,დიფერენცირება", ,,ფორმულირება", ,,ორგანიზება", ,,ანალიზი", ,,სინთეზირება" და ა.შ.

ყურადღება უნდა მიექცეს, რომ სწავლის შედეგები იყოს კონკრეტული და გაზომვადი (მაგ; ,,სფეროსთვის დამახასიათებელი მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენება

უფრო ეფექტური მენეჯერული გადაწყვეტილებებისთვის"-აკონკრეტებს რაღაცას, რომლის მიღწევაც შეიძლება შეფასდეს და არ წარმოადგენს კონკრეტული კურსის შედეგს).

ამასთან ერთად, სწავლის შედეგი სამაგისტრო კურსის დონის შესაბამისი უნდა იყოს (მაგ; იგივე კურსის სწავლის შედეგები: ,,წონასწორობის ფასის შეფასება და რაოდენობა" ძალზე ელემენტარული კალკულაციაა, როცა ,,ხარჯთ-ეფექტური სტრატეგიის განვითარება წარმოების პროცესში მაქსიმალური მოგების მისაღებად" სწორია.

რადგან არის კურსის სილაბუსები, სადაც სწავლის შედეგები სწორად არის განსაზღვრული, პროგრამის ხელმძღვანელმა გუნდმა ხელი უნდა შეუწყოს ცოდნის გაზიარებას პედაგოგიურ პერსონალს შორის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კურიკულუმის ექსპერტებს ევალებათ აკადემიურ პერსონალთან მჭიდრო თანანმშრომლობა სწავლის შედეგების მუმდივი განვითარების მიზნით.

საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ადეკვატურია სამაგისტრო დონის კურსებისთვის და ითვალისწინებს კურსის სპეციფიურობას და კურსის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგების კონტექსტში , განსაზღვრულია შესამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდები, როგორც ეს მოცემულია 2.5 ქვე-თავში.

სილაბუსში მითითებული ლიტერატურა მოიცავს საჭირო წიგნებს, დამატებით საკითხავ მასალას, წიგნებს, სამეცნიერო სტატიებს, ვებ-გვერდების მასალებს და ყოველი ლექციისთვის მითითებულია შესაბამისი წყაროები კონკრეტული თავებისთვის, სტატიებისთვის და ა.შ. საერთო ჯამში, რეკომენდირებული სასწავლო მასალები ასახავს სფეროს თანამედროვე მიღწევებს და საერთაშორისო ბიზნეს გარემოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერილობა*
- *პროგრამის სილაბუსები*
- *სწავლის შედეგების საგზაო რუქა*
- *გასაუბრებები პროგრამისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან*
- *გასაუბრებები აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან.*

რეკომენდაციები:

- განიხილეთ კურსის სწავლის შედეგები და გააგრძელეთ განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის კურიკულუმის ექსპერტებთან ერთად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლებისა და სწავლის მიდგომები უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას სხვადასხვა კურსებზე გუნდური პროექტებისა და დავალებების სახით. პროექტების/დავალებების საჩვენებელი ნიმუშები სხვადასხვა საგნის ფარგლებში მოიცავს შემდეგს:

- კომპანიის მარკეტინგული გეგმის ჩამოყალიბება მათი არჩევანის მიხედვით (მომხმარებლის ქცევა და მარკეტინგი).

-კომპანიის შერჩევა, გასაუბრების და დაკვირვების ჩატარება, პრობლემების გამოვლენა, მათი ანალიზი და რეკომენდაციების უზრუნველყოფა ეფექტური მოგვარების მიზნით (ეფექტური მართვა);

- შერჩეული კომპანიის (ადგილობრივი ან უცხოური) ანალიზი, საოპერაციო პრობლემების გამოვლენა, კომპანიის არსებული ფუნქციონირების (საქმიანობების) შეფასება, შესაძლებლობებისა და აღჭურვილობის დაგეგმვა და პროცესის კონტროლი მოკლე-, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში (საოპერაციო მართვა).

-ბრენდის გამოვლენა, სხვადასხვა ბრენდების მარკეტინგული/პიარ მასალებისა მოპოვება და ბრენდის ზოგიერთ მომხმარებელთან გასაუბრება ბრენდის აუდიტის ჩატარებისა და შთაგონების ნიშის (ბრენდინგი) გამოსავლენად;

-ინოვაციებზე ფოკუსირებული კომპანიის ბიზნეს-გეგმის შემუშავება პირველადი ბაზრისა და ბაზრის სეგმენტების განსაზღვრის მიზნით, სამომხმარებლო ღირებულების წინადადების განსაზღვრა და ღირებულება მომხმარებლის შენაძენის ხარჯის დასაანგარიშებლად, სესხის ღირებულების კოეფიციენტი, უნიკალური გასაყიდი მარჯის განსაზღვრა და განაწილების გეგმა (ინოვაციებზე დაფუძნებული მეწარმეობა).

სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს პრაქტიკული დავალებები უაღრესად საინტერესოდ და პროგრამისთვის ღირებულად მიაჩნიათ. მათ დადებითად შეაფასეს აკადემიური პერსონალის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოწვეული აკადემირუი პერსონალის წვლილი, რომელთაც საკლასო ოთახებში მათი მიმდინარე ბიზნეს გამოცდილება შემოაქვთ, და გამოთქვეს სურვილი, ჰქონდეთ სტუმართა ლექციები, რომლებსაც შეუძლიათ საქართველოს ბიზნეს გარემოდან რეალური მაგალითებისა და შემთხვევების განხილვა. მათ, ასევე, აღნიშნეს, რომ უფრო მეტი პრაქტიკული მუშაობა და კომპანიებში ვიზიტები მისასალმებელი იქნებოდა.

კვლევის მეთოდებისა და აკადემიური წერის კურსები სამაგისტრო ნაშრომთან ერთად წარმოადგენს სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარების საფუძვლებს. სამაგისტრო ნაშრომის ამჟამინდელი პრაქტიკა შემდეგია: 2-3 სტუდენტი ჯგუფურად მუშაობს, მათ მენტორობას უწევს ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ბოლო 5 წელია აქტიურადაა

ჩართული საგანთან დაკავშირებულ აკადემიურ საქმიანობაში და აქვს გამოქვეყნებული სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები.

სტუდენტებს თავიანთი პროექტების შერჩევა შეუძლიათ პარტნიორ ორგანიზაციებში, რომელთაც სპეციფიური ხელშეკრულებები აქვთ ბიზნეს-სკოლასთან, ასევე ისინი აყალიბებენ გუნდს და ირჩევენ მენტორს. ყოველ მენტორს შეუძლია მაქსიმუმ 4 სამაგისტრო ნაშრომის პროექტის ზედამხედველობა და ვალდებულია თითეულ გუნდთან კონსულტაციისთვის 30 საათი გაატაროს.

მიუხედავად იმისა, რომ ფინალური შედეგი (სამაგისტრო ნაშრომი) გუნდური პროდუქტია, შეფასება ნაწილობრივ ინდივიდუალურია, ყოველი სტუდენტის მუშაობისა (ფასდება ხელმძღვანელის მიერ) და დაცვის (ფასდება დაცვის კომისიის მიერ) მიხედვით, და ნაწილობრივ გუნდური (ფასდება რეცენზენტის მიერ). პლაგიატის გამოსავლენად ,,ტურნიტინის" პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება.

სამაგისტრო ნაშრომის პროექტის დოკუმენტი ყველა შესაბამის დებულებას და წესს მოიცავს პროცესთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის ხელმძღვანელობასა და მენტორებთან ერთად იმსჯელა გუნდური პროექტისა და ინდივიდუალური პროექტის ავკარგიანობის შესახებ. გუნდური მიდგომის ძირითადი არგუმენტია გუნდური მუშაობის უნარების განვითარება. თუმცა, სტუდენტებს ბევრი შესაძლებლობა აქვთ ინდივიდუალურ საგნებში გუნდურ პროექტებზე სამუშაოდ სწავლის პირველი სამი სემესტრის განმავლობაში. ფინალური ნაშრომი სწავლის პროცესის ის ელემენტია, სადაც სტუდენტი ავლენს უფრო ღრმა ცოდნის სისტემური ინტეგრაციის უნარს, სწავლობს სირთულეების გადალახვას, იყენებს უნარ-ჩვევებს კვლევისა და განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად და დასკვნის გასაკეთებლად. ეს არის მთელი მათი სწავლის პროცესის ანარეკლი. ამ გაგებით, როგორც ეს მიღებული პრაქტიკაა თითქმის ყველა სამაგისტრო პროგრამაზე, სამაგისტრო ნაშრომი ინდივიდუალური მცდელობა უნდა იყოს. თუმცა, სამაგისტრო ნაშრომის პროექტის არსებული სწავლის შედეგი გვამცნობს, რომ: ,,სტუდენტს აქვს უნარი დამოუკიდებლად ჩაატაროს პრაქტიკული კვლევა რთული პრობლემის გამოვლენისა და შესწავლის მიზნით და დამოუკიდებლად დეუფლოს ახალ ცოდნას და უნარებს, როგორც ავტონომიურმა შემსწავლელმა". მსხვილმასშტაბიანი ნაშრომების შემთხვევაში, სტუდენტებისთვის მიღებული პრაქტიკაა გუნდურად მუშაობა მინაცემთა შესაგროვებლად და შემდეგ ინდივიდუალური მუშაობა პროექტის სხვადასხვა ასპექტებზე. კიდევ ერთი საკითხია გასათვალისწინებელი, რომ ორმაგი ხარისხის მოპოვების მსურველი სტუდენტებისთვის სავალდებულოა ინდივიდუალური სამაგისტრო მაშრომის პროექტის მომზადება და სტუდენტებისთვის ორი სხვადასხვა სტანდარტის არსებობა არ არის საუკეთესო პრაქტიკა.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება ენახა სამაგისტრო ნაშრომის მცირე ნიმუში და შენიშნა განსხვავებები სტილში და წყაროების მითითებაში. უმრავლეს შემთხვევაშიბიბლიოგრაფიაში წყაროების რიცხვი და ხარისხი შეესაბამებოდა სამაგისტრო ნაშრომის დონეს (ძირითადად, სამეცნიერო ჟურნალებიდან), მაგრამ იყო ერთი შემთხვევა, როცა წყაროების რიცხვი უკიდურესად მწირი იყო (დაახლ. 12) და მათგან უმრავლესობაწბე-რესურსები და წიგნები იყო და მხოლოდ ერთი- სამეცნიერო რესურსი. ვინაიდან უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო ჟურნალების მასშტაბულ ბაზას, უნდა ჩაითვალოს, რომ ეს შემთხვევა ვერ აკმაყოფილებს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებს.

უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტების მიერ აკადემიური წერის უნარების გამომუშავებას და დაარსებული აქვს ,,აკადემიური წერის ცენტრი", რომელიც ეხმარება სტუდენტებს ტრენინგებისა და სემინარების უზრუნველყოფით მცირე ჯგუფებში, სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე. ცენტრში სათანადო უნარების მქონე 14 პირი მუშაობს და სტუდენტებს შეუძლიათ კურსზე დარეგისტრირება ვებ-გვერდის საშუალებით. ეს სერვისი უფრო ცნობადი უნდა გახდეს, გასაუბერებების დროს სტუდენტებმა მაინცდამაინც ბევრი არაფერი იცოდნენ მის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *სამაგისტრო ნაშრომის პროექტის წესი*

- *თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან*
- *გასაუბრება პროგრამის ადმინისტრაციის გუნდთან*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სამაგისტრო ნაშრომის მენტორებთან*
- *გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან*
- *გასაუბრება დამსაქმებლების წამომადგენლებთან*
- *სამაგისტრო ნაშრომის ნიმუში*
-

რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომის პროექტი უნდა შესრულდეს ინდივიდუალურად. გამოკითხულ დამსაქმებლებს სურვილი აქვთ წვლილი შეიტანონ სამაგისტრო ნაშრომის პროექტებში იმ მონაცემებისა და პრობლემური სფეროების უზრუნველყოფით, სადაც სტუდენტის კვლევამ შესაძლოა შედეგი მოიტანოს.
- სამაგისტრო ნაშრომის რეგულაციებმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ბიბლიოგრაფიული მოთხოვნები (მაგ; ინტერნეტ წყაროებისთვის თავის არიდება და ძირითადად სამეცნიერო წყაროების გამოყენება, ბოლო დროს გამოცემული წიგნები, და ა.შ.) და სპეციალური წყაროების დასახელების სტილის გზამკვლევი (თუ ეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციტირების აკადემიური სტილის წესია, მაშინ დოკუმენტშიც უნდა განმეორდეს.)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოიწვიეთ პროფესიონალები ინდუსტრიისა და ბიზნეს სექტორიდან, კონკრეტული კურსების ფარგლებში, ლექციების წასაკითხად კონკრეტულ თემებზე და შემთხვევებზე მათი გამოცდილებიდან, რათა საქართველოს (და ალბათ უცხოური) ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს რეალური სიტუაციები განხილულ იქნას საკლასო ოთახში.
- გამოიყენეთ დამსაქმებლის სურვილი დაეხმაროს სამაგისტრო ნაშრომის პროექტს. იფიქრეთ, დააწესოთ პრიზი საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომისათვის (დამსაქმებელს შეუძლია ამაში დახმარება) და ამით სტიმული მიეცით სტუდენტებს. გააკეთეთ სამაგისტრო ნაშრომის მენტორებისა და დამსაქმებლების შეხვედრის ორგანიზება სამაგისტრო ნაშრომის პროექტის განსაზღვრის მიზნით.
- სთხოვეთ სტუდენტებს დაამუშაონ 5-6- გვერდიანი სამეცნიერო სტატია მათი სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე კონფერენციაზე წარსადგენი ფორმით.
- აუმაღლეთ იმიჯი და მიაწოდეთ სტუდენტებს ინფორმაცია აკადემიური წერის ცენტრის სერვისების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის ამაღლებას და კვლევის შედეგების შესაძლო გამოქვეყნებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აკადემიური წერის ცენტრის დაარსება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები გასაგებადაა მითითებული ყოველი კომპონენტის შესაბამის სილაბუსში/შინაარსში.

დასწრება არ არის სავალდებულო, მაგრამ როგორც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ადასტურებს, რომ სწავლების გამოყენებული მეთოდები სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს, რადგან მათი შეფასება ნაწილობრივ მათ მუშაობას ეფუძნება სწავლების საქმიანობის დროს და მიმდინარეობს მთელი სემესტრის განმავლობაში.

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოიცავს ინტერაქტიურ ლექციებს და სემინარებს/პრობლემაზე-დაფუძნებულ სწავლებას/დემონსტრაციებს/შემტხვევის ანალიზს/ ინდივიდუალურ და ჯგუფურ პროექტებს/განხილვებს/დებატებს/ტვინის შტურმს/ანალიზს/ როლურ და სიტუაციურ თამაშს/სიმულაციებს/ლაბორატორიულ სამუშაოს/პრაქტიკულ დავალებებს.

ლექციები სტუდენტთა დი ჯგუფს უტარდება, მაგრამ სამინარებსა და სხვა სასწავლო აქტივობებზე სტუდენტები უფრო მცირე ჯგუფებად იყოფიან.

ყველა კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და მის მიზნებს და შესაძლებელს ხდის კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

ლექციების ვიდეო ჩანაწერების გაკეთება და მათი ონლაინ ხელმისაწვდომობა სტუდენტების მიერ სწორედ სტუდენტებმა მოითხოვეს და უნივერსიტეტის მიერ ამის გაკეთება ღირს, რადგან სტუდენტებს საშუალება ექნებათ გადახედონ იმ დღეს მოცემულ მასალას სასწავლო საატების შემდეგ (იხ. რჩევები ქვე- თავში 4.2)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *კურსის სილაბუსები*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*
- *გასაუბრება სტუდენტებთან*
- *გასაუბრება კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ემყარება მათ მოსწრებას მთელი კურსის განმავლობაში. საერთო შეფასება მოიცავს ორ ნაწილს: შუალედური შეფასება და საბოლოო შეფასება. თითეული ნაწილი მოიცავს განსხვავებულ შეფასების ელემენტებს დაგეგმილი სწავლის შედეგებისთვის, როგორებიცაა, წერითი დავალებები, ტესტები, შემთხვევების განხილვა, გუნდური მუშაობა, პროექტები, წერითი ან ზეპირი გამოცდები, და ა.შ. ზოგადად, შეფასება გარკვეული პერიოდის განმავლობაში უფრო მეტ ელემენტებს მოიცავს და უფრო მნიშვნელოვანია. ყოველი ნაწილის შეფასების კრიტერიუმები ნათლად და გამჭვირვალედ არის ჩამოყალიბებული ყოველი კურსის სილაბუსში. სტუდენტები ინფორმირებული არიან როგორ ხდება მათი შეფასება თითეულ ელემენტში. პროგრამა ითვალისწინებს მკაცრ აკადემიურ მიდგომას სტუდენტთა შეფასებაში: მხოლოდ მათ, ვინც ზღვარი ვერ გადალახა (41-50 ქულა) ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის შანსი დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ. დანარჩენებმა კურსი ხელახლა უნდა

გაიარონ .
სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ მინიმალურ გადასალახ ქულას შეფასების როგორც შუალედურ, ისე საბოლოო ნაწილში იმისთვის რომ კურსი გავლილად ჩაითვალოს.

პროგრამის ეტაპებზე სტუდენტთა პროგრესის სტატისტიკური მონაცემებით, ბევრი სტუდენტია, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი. სკოლისა და პროგრამის ხელმძღვანელი გუნდის სიტყვებით, ამის მთავარი მიზეზია ფინანსური სახსრების უქონლობა ან სამხედრო სავალდებულო სამსახური ვაჟი სტუდენტების შემთხვევაში.

სტუდენტებმა კმაყოფილება გამოთქვეს შეფასების სისტემის გამჭვირვალობის შესახებ, მაგრამ აღნიშნეს, რომ კონკრეტული ინსტანციების (ძირითადად, გამოცდების) შეკითხვები არ ასახავდნენ პროგრამის დონეს. მაგალითად, მათ მიაჩნიათ, და მართებულადაც, რომ შეკითხვა ,,რა არის მარკეტინგი" შესაძლოა შესაფერისი იყოს საბაკალავრო, მაგრამ არა სამაგისტრო დონის კურსისთვის. სხვა შემთხვევაში (მაგ; გაყიდვების მართვა) ფინალურ გამოცდაში მითითებულია, რომ ,,ტესტი შედგება 50 შეკითხვისგან პასუხის რამდენიმე ვარიაციით (თითო- მაქსიმუმ 0.5 ქულა) და 5 ღია შეკითხვით (მაქს 1 ქულა)". საბოლოო გამოცდის უდიდესი ნაწილის მრავალ-ვარიაციიანი შეკითხვებით ჩატარება არ არის ადეკვატური ამ დონის პროგრამისთვის.

უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შეფასების კომპონენტებს და მეთოდებს. გამოცდების დონე განსხვავდება და ხანდახან არ არის პროგრამის დონის შესაბამისი. შეფასების მეთოდები დაკავშირებული უნდა იყოს კურსის სწავლის შედეგებთან და ამოწმებდეს სწავლის შედეგების მიღწევას. საჭიროა მეტი კონროლი მთელი პროცესის განხორციელების დროს. რადგან პედაგოგიური პერსონალის გამოცდილება სწავლის შედეგების ციკლთან დაკავშირებით განსხვავებულია, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტრენინგს ამ სფეროში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კურიკულუმის ექსპერტებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების დასაკავშირებლად სათანადო შეფასების მეთოდებთან. ამავე დროს, პროგრამას შესაძლოა ჰქონდეს ,,მოდერაციის" პრაქტიკა, სადაც შეფასების მეთოდებს და გამოცდებს შეამოწმებს მეორე პირი, რომელიც უნდა იყოს შესაბამის დონეზე და შეეძლოს პასუხების გაცემა მოცემული დროის განმავლობაში და შეესაბამებოდეს დაგეგმილ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *კურსის სილაბუსები*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*
- *გასაუბრება სტუდენტებთან*
- *გასაუბრება კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

- მექანიზმების ჩამოყალიბება შეფასების მეთოდების შესატყვისობის უზრუნველსაყოფად სამაგისტრო პროგრამის დონესთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- იფიქრეთ, შემოიღოთ მოდერაციის პროცესი ყოველი კურსის შეფასების ელემენტებზე თანასწორთა დაკვირვების გამოყენებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები კონსულტაციებსა და დახმარებას რამდენიმე წყაროსგან იღებენ. აკადემიური მხარდაჭრა ძირითადად უზრუნველყოფილია პროგრამის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის მიერ. გასაუბრების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს დახმარება, რომელიც მათ მიიღეს ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამასთან, კურსის

არჩევასთან და სწავლის გადადებასთან დაკავშირებით,

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროცესის დაგეგმვის სერვისების გაძლიერების მიზნით, ბიზნესის სკოლამ ჩამოაყალიბა სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც რჩევას აძლევს სტუდენტებს სასწავლო პროცესთან, პროგრესთან დაკავშირებით, აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს. დამატებით, სტუდენტთა კონსულტაციებს უზრუნველყოფენ სკოლის ხარისხის განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტები- კურიკულუმის ექსპერტები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავენ ინდივიდუალურ საგანამანთლებლო გეგმებს სტუდენტებისათვის და დახმარებას უწევენ თითეულ მათგანს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

საერთო ჯამში, აკადემიური რეგულაციების ფარგლებში, ადმინისტრაცია მოქნილია და უწევს დახმარებას სტუდენტებს. უცხოელი სტუდენტები უკიდურესად კმაყოფილები არიან სრულყოფილი და გასაგები ინფორმაციისთვის, რომლებიც მათ ჩამოსვლამდე და სწავლის დაგეგმვამდე მიიღეს უნივერსიტეტისგან. მათ ეს ფაქტორი ახსენეს, როგორც მთავარი მიზეზი მათ მიერ კონკრეტული პროგრამის შესარჩევად.

აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაცია ხდება პირადად, კონსულტაციის საათების დროს- ცხრილი საჯაროდ ხელმისაწვდომია, არაფორმალური შეხვედრებით და ელექტრონული სწავლის პროგრამის ARGUS-ის საშუალებით.

სტუდენტბთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ პროცესები იოლად გასაგებია სტუდენტებისათვის, მათ დასაწყისშივე კარგად იციან პროგრამის პერიოდი და იღებენ კონსულტაციებს, თუ რომელი პროგრამა უნდა შეისწავლონ ორმაგი ხარისხის მისაღებად. ამას გარდა, მათ ქონდათ საშუალება აერჩიათ არასავალდებულო საგნები მათი ყოველდღიური დასწრების ცხრილის შესაბამისად და ადმინისტრაციული პერსონალი მართლაც მუშაობს სტუდენტებისთვის კონსულტაციების გასაწევად.

ამასთან ერთად, უნივერსიტეტის ან სკოლის დონეზე არის რამდენიმე სერვისი, რომელთა მიზანიც სტუდენტთა დახმარებაა. კერძოდ:

სტუდეტთა მომსახურების ცენტრი ავრცელებს ინფორმაციას სტუდენტებში დასაქმებასთან დაკავშირებით, აწარმოებს დასაქმების შესაძლებლობათა/ვაკანსიების მონაცემთა ბაზას, აკეთებს წლიური დასაქმების ფორუმების ორგანიზებას და ახორციელებს სტუდენტთა პროფესიული გამოცდილების განვითარების სხვა აქტივობებს. უდრო მეტიც, ბიზნესის სკოლაში ახალი ადმინისტრაციული ერთეული ჩამოყალიბდა: დამსაქმებელთან ურთიერთობისა და კარიერული დაგეგმვის სამსახური, რომელიც რეგულარულად უწევს დახმარებას სტუდენტებს ინდივიდუალური კონსულტაციებით.

სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, ასევე, ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას უნივერსიტეტში და მიმდინარე პროექტებში, ასევე სხვა საქმიანობებში ქვეყნის მასშტაბით. დეპარტამენტი ხელს უწყობს და კოორდინაციას უწევს სტუდენტურ პროექტებს და სპორტულ ინიციატივებს, სოციალურ აქტივობებს, ღია ლექციებს, საჯარო განხილვებს, ზაფხულის სკოლებს და ა.შ. დეპარტამენტი, მისი ბიუჯეტის გათვალისწინებით, თავაზობს სტუდენტებს ფინანსურ დახმარებას პროექტების განხორციელებისთვის და /ან საერთაშორისო პროექტში მონაწილეობისთვის.

საგარეო ურთიერთობების სამსახური ზედამხედველობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ; ერაზმუს პლუსი) და უზრუნველყოფს საერთაშორისო მობილობის დანერგვას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

საგარეო ურთიერთობათა სამსახური აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას საერთაშორისო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის შესახებ (ზაფხულის სკოლები, საერთაშორისო სტუპენდიები, კონფერენციები, სხვა ტრენინგი, და ა.შ) და კონსულტაციას უწევს მათ სამაგისტრო პროგრამის გაცვლითი მიმართულების შესახებ.

სტუდენტების და კურსდამთავრებულები ინფორმირებული იყვნენ სტუდენტური სერვისების შესახებ და მოყვანილ იქნა რამდენიმე მაგალითი ერაზმუსის მიერ გაწეული მხარდაჭერის, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამისა და დასქმების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *თვითშეფასების ანგარიში*

- *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან*
- *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან*
- *გასაუბრება სტუდენტებთან*
- *გასაუბრება კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც 2.4 ქვე-თავშია მოცემული, ექსპერტთა გუნდი დაბეჯითებით გირჩევთ, რომ სამაგისტრო ნაშრომის პროექტი განხორციელდეს ინდივიდუალურად ზემოთხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე. ეს გულისხმობს, რომ მაგისტრანტებისთვის უფრო მეტი მენტორია საჭირო, რადგან სამაგისტრო ნაშრომების რიცხვი, რომელსაც მენტორი ზედამხედველობს (ამჟამად 4) ამავე რაოდენობით უნდა დარჩეს (4-5), როგორც ამას საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს.

სამაგისტრო ნაშრომის ზედამხედველობის ამჟამინდელი პრაქტიკა აკადემიურად მკაცრია. სტუდენტებს ზედამხედველობას უწევს თანამშრომელი, რომელიც ბოლო 5 წელი აქტიურადაა ჩართული კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული

აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მიესადაგება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას. სამაგისტრო ნაშრომის რეგულაციაში მოცემულია პროცესის დეტალები.

რფოგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ისინი საკმარის უკუკავშირს იღებდნენ მენტორებთან გამართული შეხვედრების დროს და განაცხადეს, რომ იშვიათ შემთხვევებში ზოგიერთო სტუდენტი ,,დაინტერესებული" მენტორის გარეშე დარჩა და ნაშრომზე მუშაობის დროს ბევრი სირთულის გადალახვამ მოუწია. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება განეხილა სტუდენტთა საჩივრებთან დაკავშირებული საკითხები ადმინისტრაციასა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სიამოვნებით მოისმინა, რომ სათანადო პროცესები და შესაბამისი რეაგირება სახეზეა (მენტორის შეცვლა).

სტუდენტები გარკვეულად დაბნეულები არიან აკადემიური წერის უნარების კურსის საჭიროებასთან დაკავშირებით. ბევრი ფიქრობდა, რომ აკადემიური წერის კურსი სავალდებულო არ უნდა ყოფილიყო, რადგან მენტორი და აკადემიური წერის ცენტრი დახმარებას უწევენ სტუდენტებს ნაშრომზე მუშაობის დროს. თუმცა, ვიზიტის დროს, ექსპერტთა გუნდს მიეცა საშუალება, ენახა სამაგისტრო ნაშრომის პატარა ნიმუში და შეამჩნია განსხვავებები სტილსა და წყაროების დასახელების ფორმაში. ნიმუშთაგან უმრავლესობაში სწორად იყო მითითებული წყაროების რაოდენობა და ხარისხი ბიბლიოგრაფიაში, რაც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის დონეს (ძირითადად სამეცნიერო ჟურნალებიდან), ზოგიერთს კი არ ჰქონდა სამაგისტრო ნაშრომისთვის დამახასიათებელი აკადემიური მკაცრი პროფილი. ერთი უკიდურესი შემთხვევა იყო, სადაც უკიურესად მცირე რაოდენობის წყაროები იყო დასახელებული (დაახლ. 12), რომელთაგან უმრავლესობა ვებ რესურსები და წიგნები იყო და მხოლოდ ერთი თუ ორი- სამეცნიერო რესურსი (ჟურნალები). იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წვდომას სამეცნიერო ჟურნალების მასშტაბურ ბაზაზე, მსგავსი შემთხვევები განხილვას უნდა დაექვემდებაროს, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებენ სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებს. პროგრამის ადმინისტრციამ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი კონკრეტული რეგულაციის შემოღებით, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომში წყაროების დასახელების შესაბამის წესს. კარგი პრაქტიკაა, აგრეთვე, სტუდენტების მიერ მათი სამაგისტრო ნაშრომის შემაჯამებელი 5-6 გვერდიანი სტატიის წარმოდგენა სამაგისტრო ნაშრომთან ერთად აკადემიურ ფორმატში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან*
- *გასაუბრებები აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან*
- *აკადემიური პერსონალის რეზიუმეები*
- *სმაგისტრო ნაშრომის ნიმუში*

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით, რომ ყველა სტუდენტმა გაიროს აკადემიური წერის უნარების სათანადო კურსი, ვიდრე შეუდგებოდეს სამაგისტრო ნაშრომის პროექტზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომის წესმა გასაგებად უნდა ჩამოაყალიბოს ბიბლიოგრაფიული მოთხოვნები, (მაგ; თავის არიდება ინტერნეტ წყაროების დასახელებისგან, მეტი სამეცნიერო ჟურნალის, ახალი წიგნების, და ა.შ მითითება) და წყაროს მოხსენიების სტილის გზამკვლევი (თუ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის ციტირების წესის დაცვაა საჭირო, კიდევ ერთხელ გაიმეორეთ ეს ნაშრომის რეგულირების წესში, რადგან სხვადასხვა ნაშრომში შეუსაბამობა დაფიქსირდა წყაროების დასახელების სტილში).
- მოამზადეთ დამატებითი კვალიფიციური ზედამხედველები/მენტორები, რომლებიც დაგჭირდებათ სტუდენტების დასახმარებლად ინდივიდუალური სამაგისტრო ნაშრომების წერის დროს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ თხოვეთ სტუდენტებს მათი სამაგისტრო ნაშრომის შემაჯამებელი 5-6 გვერდიანი სტატიის წარმოდგენა სამაგისტრო ნაშრომთან ერთად აკადემიურ ფორმატში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ახორციელებს 17 ლექტორი რომელთა უმრავლესობა აფილირებული აკადემიური პერსონალია (1 პროფესორი, 10 ასოცირებული- და 3 ასისტანტ-პროფესორი) და 3 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალი აქტიურია კვლევის სფეროში, როგორც ამას ადასტურებს ჟურნალებსა და კონფერენციებზე გამოქვეყნებული და წარმოდეგნილი სამეცნიერო სტატიების რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში. პედაგოგიურ პერსონალთან გასაუბრებამ ცხადჰყო, რომ აკადემიური პერსონალი ჩართულია რამდენიმე საინტერესო კვლევისა და განვითარების პროექტში (მაგ; ტემპუსის მიერ დაფინანსებული პროგრამა აკადემიურ წერაში, ერაზმუს პლუსის ინტეგრაციის პროექტი, რომელშიც ჩართულია 13 ადგილობრივი და 4 ევროპული უნივერსიტეტი, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ,,მცირე ბიზნესის დაფინანსების გავლენის შეფასება"), ამასთანავე, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის კვლევის პროექტისთვის მზადება მიმდინარეობს. აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს საკმაოდ დიდი ცოდნა და კომპეტენციები აქვს პროგრამის სწავლის შედეგების მხარდასაჭერად, ინარჩუნებს რა ბალანსს აფილირებული პერსონალის მაღალი პროცენტის სტაბილურობასა და მოწვეული პერსონალის შეთვისებულ ადაპტირებულობას შორის. მათი სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის გარდა, აკადემიური პერსონალი ჩართულია პროგრამის შემუშავებასა და მის გაუმჯობესებაში, სტუდენტთა კონსულტირებასა და დახმარებაში, ასევე ახორციელებენ სხვა ფუნქციებს უნივერსიტეტის რეგულაციებისა და დასაქმების ხელშეკრულების თანახმად (პროგრამის ჩამოყალიბება და განვითარება, პროგრამის განხორციელების შეფასება და პროგრამის შეფასების კრიტერიუმები). სასწავლო პერსონალის დატვირთვა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, რომელსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომის ზედამხედველობის უფლება. პროგრამას ხელმძღვანელობს ბიზნესის სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი, ორი ძალიან კომპეტემტური პირი, ძლიერი აკადემიური და საწარმოო გამოცდილებით, რომლებიც უშუალოდ ჩართულების არიან პროგრამის განხორციელებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის ექსპერტები, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახდა დამსაქმებლებთან უერთიერთობისა და კარიერული დაგეგმვის ცენტრი ხელს უწყობენ პროგრამის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები აკადემიურად და პროფესიულად ძალიან კომპეტენტურები არიან, აშკარად სახეზეა მათ შორის გუნდური შეჭიდულობის ნაკლებობა. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ ისინი ძალიან ზრუნავენ თავიანთ საგნებზე, მუშაობენ ერთობლივად კვლევის სფეროს დონეზე,

მაგრამ საჭიროა ინფორმირებულობა და ჩართულობის გაძლიერება პროგრამის დონეზე. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ,,ლექტორები იკრიბებიან და ერთმანეთს უზიარებენ აზრებს სწავლების შესახებ". როგორც ყველგან ხდება, სწავლების სტილი სხვადასხვაგვარია, მაგრამ კარგი პრაქტიკის გაზიარების ინსტიტუციონალიზაცია გააუმჯობესებდა სწავლების ხარისხს. მოწვეულმა ლექტორმა ისურვა ,,მეტი ინტერაქცია დანარჩენ პერსონალთან". ხელმძღვანელობა სერიოზულად უნდა დაფიქრდეს, რა აქტივობაა საჭირო პროგრამის განვითარების მიმართ გუნდური მიდგომის ჩამოსაყალიბებლად და მასწავლებლებში პროგრამის საკუთრების გრძნობის გასაღვიძებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *თვითშეფასების ანგარიში* ○ *პედაგოდიური პერსონალის რეზიუმეები* ○ *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან* ○ *ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.* ○ *გასაუბრება სტუდენტებთან* ○ *დასაქმების წესები და პერსონალის ხელშეკრულებები.*
რეკომენდაციები: • გააძლიერეთ გუნდური მუშაობა აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის და აქცენტი გააკეთეთ უფრო მთლიან პროგრამაზე, ვიდრე ინდივიდუალურ საგნებზე. პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ პედაგოგიურ პერსონალს ჰქონდეს საკუთრების განცდა პროგრამასთან დაკავშირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დანერგეთ პედაგოგიური პრაქტიკის კარგი მაგალითების გაზიარების პროცესი პედაგოგიურ პერსონალს შორის. გამოიყენებთ სტუდენტების შენიშვნები საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აფილირებული და მოწვეული პერსონალი ფასდება წელიწადში ერთხელ. შეფასების პროცესი გულისხმობს აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიური პერსონალის შემთხვევაში: კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობასთან და მოწვეული პერსონალის შემთხვევაში კი პედაგოგიურ საქმიანობასთან. პერსონალი წარადგენს სამწლიან პირად გეგმას, რომლებიც დანართის სახით ერთვის მათ შრომით ხელშეკრულებებს. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი მოტივაციისა და დაწინაურებისთვის.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას, როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ სფეროებში. ხელშეწყობა გულისხმობს კონფენერციაში მონაწილეობის, ერაზმუსის გაცვლითი პროგრამის და მათი კვლევითი საქმიანობის სრულ ან ნახევარ დაფინანსებას. ამ უკანასკნელის გაძლიერების მიზნით 2017 წელს ,,ბიზნეს კლევითი ცენტრი" დაარსდა, რომლეიც მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის ჩართულობის მხარრაჭერას სამეცნიერო /კვლევით საქმიანობაში. პედაგოგიკის თვალსაზრისით, ერაზმუს პლუსის ფინანსური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა შეფასების მეთოდებთან და სწავლებასთან დაკავშირებული პროფესიული ტრენინგ-მოდული, რომელიც მოიცავს შემდეგ კურსებს: ,,აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისათვის საქართველოს უსდ-ებში", ,,უსდ-ებში აკადემიური გარემოს შექმნის შეფასების მექანიზმები", ,,შეცვალე საკლასო ოთახშივე":

სხვა ტიპის დახმარება გულისხმობს საკითხავი მასალის მომზადებასა და გამოქვეყნებას ბეჭდურ ან ელექტრონულ ფორმატში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ ე.წ. ,,მკითხელებში", პროფესურის მოთხოვნისამებრ. ,,მკითხველები" დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესების თანახმად და ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ონლაინ საძიებო სისტემაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *თვითშეფასების ანგარიში*
- *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან*
- *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან*
- *გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.*
- *ვიზიტი ბიბლიოთეკაში.*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ერაზმუს პლუსის მულტიეროვნული პროექტის შედეგების გამოყენება პროფესიული ტრენინგ-მოდულის შემუშავების მიზნით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სრული დატვირთვით მოქმედი უმაღლესი საგანათლებლო დაწესებულებაა, გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭუვილობა სწავლებისა და სწავლის აქტივობების განსახორციელებლად, რაც შესაბამისობაშია საერთაშორისო უნივერსიტეტების სტანდარტებთან. კერძოდ: კომფორტული შენობა, სამუშაო ოთახები აკადემიური პერსონალისთვის, საკლასო ოთახები შესაბამისი აღჭურვილობით, საკონფერენციო დარბაზებული შესაბანისი ინვებტარით, ელექტრონული პორტალი "ARGUS"-ი, რომელიც მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროცესს და სტუდენტებს აძლევს საშუალებას დაგეგმონ სწავლის პროცესი და დარეგისტრირდნენ შერჩეულ კურსებზე, ხელი მიუწვდებოდეთ კურსის მთელ ინფორმაციაზე და ელ-სასწავლო მასალებზე, ასევე კომუნიკაცია დაამყარონ პროფესორებთან და მასწავლებლებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა საინფორმაციო რესურსების ცენტრია, რომელიც უზრუნვლეყოფს

საინფორმაციო რესურსებზე მარტივ ხელისაწვდომობას სხვადასხვა სერვისების საშუალებით და ამით წვლილი შეაქვს აკადემიური პროცესის ხარისხის ამაღლებაში, თანამედროვე მეთოდების დანერგვაში და წარმოშობს ახალ ცოდნას. ბიბლიოთეკის ტერიტორია აღჭურვილია საკაბელო და უკაბელო ინტერნეტით თავისუფალ რეჟიმში და მოიცავს სხვადასხვა დარბაზებს (სამკითხველო, ჯგუფური სამუშაო, მულტიმედია რესურსები, შეხვედრები და ტრენინგები, და ა.შ), ასევე კომპიუტერული რესურსების ცენტრს, რომელიც, ასევე, თავისუფლად ხელმისაწვდომია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით და წვდომით მდიდარ ელექტრონულ კონტენტზე, რომელიც შეიცავს აკადემიური ბაზების დიდ ნუსხას, ინდივიდუალურ ჟურნალებს, ელ-წიგნებს და ბიბლიოთეკებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ 25-ზე მეტი ელექტრონული რესურსის ნუსხა მოიცავს ყველა დიდ, ელექტრონულად ხელმისაწდომ აკადემიურ რესურსებს.

უნივერსიტეტების სკოლებისა და ფაკულტეტების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში მუდმივად განახლების პროცესშია. ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში რეგულარულად თავსდება ინფორმაცია ახალი წიგნების შესახებ, ამგვარად მომხმარებლები ინფორმირებულები არიან ახალი რესურსების შესახებ.

ბიბლიოთეკა, აგრეთვე, ამზადებს საკითხავ მასალას ,,მკითხველები" ბეჭდური და ონლაინ ფორმატით, პროფესორების ან კურსის მენტორების მოთხოვნისამებრ, საავტორო უფლების სრული დაცვით, რომლებიც შემუშავებულია ბიბლიოთეკის წესების შესაბამისად და ხელმისაწვდომია, ბიბლიოთეკის დანარჩენ ნაწილთან ერთად, ბიბლიოთეკის ონლაინ კატალოგის საძიებო სისტემაში

ამასთან ერთად, ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერისტეტში ყველა მატერიალური და ტექმიკური რესურსი სრულად ხელმისაწვდომია სამაგისტრო პროგრამის გაცვლითი მიმართულების სტუდენტებისათვის, რაც აუცილებელია პროგრამის მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ბიბლიოთეკის მიერ მიწოდებულ სერვისებს შორის, ტრენინგს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს კონკრეტულ ტრენინგს საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე სხვა ტრენინგ-სესიებს პარტნიორი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით აკადემიური პროცესების საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებასა და უნარების გაძლიერებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *თვითშეფასების ანგარიში*
- *უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა*
- *უნივერსიტეტის ბიუჯეტი*
- *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან*
- *გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან*
- *გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.*
- *ვიზუალური გამოკითხა, მსჯელობა ბიბლიოთეკის დირექტორთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან ტექნოლოგიები უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენენ საგანმანათლებლო პროცესზე, უნივერსიტეტმა უნდა იფიქროს პლატფორმების განახლებაზე ვიდეო-ლექციების ჩაწერისა და ოფ-ლაინ ხელმისაწვდომობის (ვიდეო-სტრიმინგი) უზრუნველყოფის მხარდასაჭერად. ზოგიერთმა სტუდენტმა ეს გასაუბრების დროს ახსენა

და რადგან MOOCS -ის მსგავსი საშულებები უფრო და უფრო პოპულარული ხდება, კონვენციურმა პროგრამებმა უნდა გამოიყენონ ტექნოლოგიების ასპექტები, როგორც სერვისი მათი სტუდენტებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ბიბლიოთეკის, როგორც საინფორმაციო რესურსების ცენტრის, ფუნქციონირება მრავალი როლით და მრავაფეროვანი სერვისებით (ტრენინგი, შიდა პუბლიკაციები), რომელიც ინტეგრირებულია საგანმანათლებლო პროცესში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მხარდაჭერისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად შესრულებადია. ექსპერტთა ჯგუფისთვის გადაცემული პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამა ფინანსურად სტაბილურია. მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს მისი განვითარებისათვის, ადეკვატური საჭირო რესურსებისთვის, პერსონალის ხარჯებისა და სხვა, პროგრამის ოპერირებასთან დაკავშირებული, აქტივობებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის ბიუჯეტი*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი ადმინისტრაციული ორგანოა და ექვემდებარება უნივერსიტეტის უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს, აკადემიურ საბჭოს, რომელსაც რექტორი თავმჯდომარეობს. ხარისხის უზრნველყოფის სამსახურს მკაფიოდ განსაზღვრული დებულება აქვს, რომლის ძირითადი პრინციპები და პირობები ეფუძნება ,,დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე" ციკლს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გადამწყვეტ როლს თამაშობს მეორადი კვლევის დაგეგმვაში, ასევე, შეიმუშავებს და განახორციელებს შეფასების ინსტრუმენტებს და აანალიზებს ძირითად მიგნებებს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის შესახებ და მის შესაბამისობას მისიასთან. ამასთან ერთად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: უნივერსიტეტის ყველა დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინაცია და მხარდაჭერა, უნივერსიტეტისა და პროგრამის აკრედიტაციის პროცესისის და შინაარსის მართვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში რამდენინე უფროსი სპეციალიატი, აგრეთვე კურიკულუმის სპეციალისტები მუშაობენ სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით. ამასთან ერთად, სამსახურს ყველა სკოლაში ხარისხის შეფასების სპეციალისტი ყავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების თვალყურის დევნების მიზნით.

ილიაუნის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების გუნდი წარმოდგენილია ადმინისტრაციით (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის ექსპერტები), და აკადემიური (პროგრამების ხელმძღვანელები, საგანმანათლებლო კომპონენტების თემატური ბლოკების უფროსები) პერსონალით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა სამაგისტრო პროგრამის შეფასება პროგრამის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სხვა მონაწილე მხარეების, სტუდენტების, დამსაქმებლების ვართო ჩართულობით. სტუდენტების კურსით კმაყოფილების კვლევები ტარდება ელექტრონულ რეჟიმში ყოველი სემესტრის ბოლოს, არგუსის სისტემის საშუალებით. რაც შეეხება პროგრამით კმაყოფილების კვლევას, ის მე-4 სემესტრის ბოლოს ტარდება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის საფეხურზე. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა პროგრამასთან დაკავშირებით პერიოდულად იზომება. წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხელმისაწვდომი იყო ხარისხის უზრუნვლყოფის მექანიზმები და კურსდამთავრებულთა 2014-15-16 წლის გამოკითხვის ანგარიშები, ხოლო 2017 წლის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების გამოკითხვა მიმდინარეობდა . პროგრამის ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ გამოავლინა, რომ უნივერსიტეტი ახალი შეფასების სისტემის დანერგვას აპირებს აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს აკადემიურ, ასევე სამეცნიერო სამუშაოს შესრულების კრიტერიუმებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის პერსონალთან ერთად, პერიოდულად ჩართულია სტუდენტთა დასაქმებაში, მობილობაში, აკადემიური შედეგების და სხვა შესაბამისი მონაცემების დამუშავებაში პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

თვითშეფასების ანაგრიშის წარდგენამდე ცვლილებები შევიდა სტრუქტურაში და პროგრამის

კომპონენტებსა და რესურსებში შიდა კვლევის მიგნებების შეფასების, ასევე სამუშაო ჯგუფის (პროგრამების ხელმძღვანელები და თემატური ბლოკები) რეკომენდაციების საფუძველზე. ბიზნესის სკოლამ, განახლებული აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნის საფუძველზე, შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგების/კომპეტენციების შეფასების გეგმა და სასურველი ზღვრული სამიზნე ნიშნულები თითეული კომპეტენციისთვის. ამგვარად, ილიაუნის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ადეკვატურია და რეალურად ხორციელდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება- ჩამოტვირთულია 2018 წლის 15 ივლისს:" https://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/35919/QA_debuleba.pdf* ○ *პროგრამის შეფასების მექანიზმები* ○ *ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები* ○ *პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები* ○ *კურსით კმაყოფილების კვლევა* ○ *პროგრამით კმაყოფილების კვლევა* ○ *სტუდენტთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა* ○ *კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შეფასების მექანიზმი* ○ *პროგრამის შედეგების და სამიზნე ნიშნულების შეფასების გეგმა* ○ *გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან*
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ ჩვენი რჩევაა ყველა პერიოდული კვლევა ჩატარდეს დროულად თანმიმდევრულობის შენარჩუნების მიზნით, მოგროვდეს გრძელვადიანი მონაცემები, გაკონტროლდეს დინამიკა და განისაზღვროს განვითარების ტენდეციები სისტემური კვლევის შედეგად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დანიშნა კურიკულუმის ექსპერტები, რომლებიც დახმარებას უწევენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კურსის სილაბუსის ჩამოყალიბებაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის სკოლა კურიკულუმის ექსპერტებთან ერთად გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს რეგულარულად იყენებს. პროგრამის პერსონალი აანალიზებს ექსპერტების რეკომენდაციებს და რჩევებს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების გავლის შემდეგ და შესაბამისი ცვლილებები შეაქვს პროგრამაში.

პროგრამის თანამედროვე ტენდენციებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სინქრონიზაციის პროცესში ბიზნესის სკოლასთან ჩამოყალიბდა მრჩეველთა საბჭო და დაიწყო ფუნქციონირება. მრჩეველთა საბჭოში ჩართულია ქვეყნის რამდენიმე წამყვანი დამსაქმებელი, რომლებიც პირადი სოციალური პასუხისმგებლობის საფუძველზე მუშაობენ უმაღლესი განათლების სისტემის გაძლიერების პროცესისა და მაღალი ხარისხის პროგრამების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით. მრჩეველთა საბჭოს წევრები ჩართულები იყვნენ MBA პროგრამის კომპონენტების განახლების პროცესში პროგრამის შესაბამისობის გაზრდისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. გასაუბრების დროს საბჭოს წევრებმა დიდ მოტივაცია და სურვილი გამოიჩინეს პროგრამის განვითარების მხარდასაჭერად. მრჩეველთა საბჭოს წევრები და ილიაუნის ბიზნესის სკოლა მუშაობენ ურთიერთ-სასარგებლო პარტნიორობის პირობების მოძიებაზე და თანამშრომლობის გაღრმავებაზე ბიზნესსა და უნივერსიტეტს შორის (სამაგისტრიო ნაშრომების თემატიკის ბანკის შექმნა და ბიზნესის მხარის ჩართვა).

დოკუმენტში, ,,დამსაქმებლების კვლევა", ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განსაზღვრა დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელები და პერსონალი ვალდებულია ჩაატაროს ჩაღრმავებული ინტერვიუები ან ფოკუს ჯგუფები დამსაქმებლებთან, ყოველ სამ წელიწადში სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში. როგორც ნახსენებია, დამსაქმებლების გამოვლენა ძირითადად კურსდამთავრებულთა კვლევის შემდეგ ხდება. ფოკუს ჯგუფის/ინტერვიუს გზამკვლევი უფრო შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი კომპეტენციების და უნარების გამოვლენისკენაა მიმართული, მიუხედავად ამისა, მხოლოდ ნაწილობრივ ეხება პროგრამის კურსდამთარვებულის კომპეტენციის და უნარის შეფასებას.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გარე ხარისხის მეფასების მექანიზმმა, გაცვლითი მიმართულების დამატებამ ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან და პროგრამის სწავლის შედეგების და საგანმანათლებლო კომპონენტების ექვივლანეტურობის განსაზღვრამ, დიდი როლი ითამაშა პროგრამის შემდგომ განვითარებაში. ბურგენლანდის უნივერსიტეტის პროგრამის პერსონალის ჩართულობამ ხელი შეუწყო პროგრამის განახლების პროცესსა და სწავლის შედეგებისა და პროგრამის სტრუქტურის შეფასებას. ეს პრაქტიკა, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც მტკიცებულება, თუ როგორ არიან სფეროს საერთაშორისო ექსპერტები ჩართული პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *თანამშრომლობის მემორანდუმი ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან*
- *მრჩეველთა საბჭოს წესდება*
- *დოკუმენტი: ,,დამსაქმებლების კვლევა"*
- *გასაუბრება ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან*
- *გასაუბრება მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებთან*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან მრჩეველთა საბჭოც ჩართულია ყველაზე მოთხოვნადი კომპეტენციების და უნარების გამოვლენის საქმეში და აქტიურადაა ჩართული პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ჩვენი რჩევაა, რომ განაახლოთ ფოკუს-ჯგუფის/ინტერვიუს გზამკვლევი, რომელიც მოცემულია დოკუმენტში ,,დამსაქმებელთა კვლევა" და ყურადღება გაამახვილოთ MBA პროგრამის ხარვეზების გამოვლენაზე შედარებითი ანალიზის მიგნებები სამომავლოდ შეიძლება გამოიყენოთ პროგრამის ხარისხის ასამაღლებლად. ამასთან ერთად, სასურველია, შეამოკლოთ დამსაქმებელთა კვლევის პერიოდი 3 წლიდან 2 წლამდე, რადგან კურსდამათარებულთა კომპეტენციებისა და უნარების გაზომვა და შეფასება გარე ხარისხის უზრუნველეყოფის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ბიზნესის სკოლაში მრჩეველთა საბჭოს ფორმირება ხელს უწყობს დამსაქმებელთა აქტიურ ჩართულობას პროგრამის ჩამოყალიბებაში და მხარს უჭერს მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტსა და ბიზნეს-სექტორს შორის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებითა და გაანალიზებით. ხორციელდება სისტემატიური და მოთხოვნაზე-დაფუძნებული კვლევები ხარისხობრივი, რაოდენობრივი და ინტეგრირებული მიდგომებით. ტარდება სისტემატიური განხილვები მობილობის, სტუდენტთა ჩარიცხვების შედეგების მონიტორინგის გზით. უნივერსიტეტის მიერ ჩამოყალიბებული შიდა ხარისხის კონცეპცია განიხილება, როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებთან ერთად შეფასების ჯგუფის მონაწილე, არსებული შიდა და გარე შეფასების მექანიზმები მხარს უჭერენ უნივერსიტეტს, რათა სტრუქტურულმა ერთეულებმა და პროგრამის პერსონალმა გამოიყენონ შეფასების შედეგები პროგრამის ხარისხის ამაღლებისა და განვითარების აქტივობებისთვის.

პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების დროს, მათ ლექტორების არათანაბარი სწავლების უნარები ახსენეს და რჩევა მოგვცეს, ვიმუშაოთ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ცოდნისა და მეთოდების გაზიარების გზით. ამ ეტაპზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მხოლოდ კურსის შეფასების კვლევას იყენებს კურსით კმაყოფილების ხარისხის გამოსავლენად და გეგმავს მომავალ გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი არ იყენებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასებას წინასწარ-განსაზღვრული საკლასო ოთახის დაკვირვების ნიმუშით, რაც შესაძლოა განხორციელდეს ერთი უნივერსიტეტის ერთი და იგივე ან სხვა პროგრამების კოლეგების მიერ, ან სხვა უსდ-ებიდან მოწვეული კოლეგების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის შეფასების მექანიზმები*
- *პროგრამის შეფასების კონცეპცია, ფორმები და ინსტრუმენტები*
- *შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი*
- *გასაუბრება ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან.*
- *გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან*

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების უნარების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, წინასწარ განსაზღვრული საკლასო ოთახზე დაკვირვების ნიმუშის გამოყენება, რასაც ჩაატარებენ ერთი უნივერსიტეტის ერთი და იგივე ან სხვა პროგრამების

კოლეგები, ან სხვა უსდ-ებიდან მოწვეული კოლეგების.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ბიზნესის ადმინისტრირება (MBA)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

პანდელის იპსილანდისი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ზარნაძე

ნინო დგვეფაძე

მარიამ გრძელიშვილი